№ 12.

# ივერია

წელიწადი პირველი

19 მაისს 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

**ხელის მოწერა:** ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად. . . 6 მან. —

თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენაზე.

**საძიებელი:** I. საქართველოს მატიანე.—II. ომის ამბები.—III. აწინდელის დროის შესახებ.—IV. საპოლიტიკო მიმოხილვა.—V. ორიოდე სიტყვა საქალაქო სასწავლებელზედ —VI. თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსნი.—VII. ოსმალეთის საქართველო.—VIII. გლეხის ნაამბობნი, სცენა 5 და 6.—IX. ჩვენის ისტორიისათვის მასალა.—X. განცხადებანი.

## საქართველოს მატიანე

—

უმთავრესი მიზეზი ჩვენის გლეხობის ჩივილისა და დრტვინვისა სახელმწიფო ტყეების გამგეობაა. ყოველის მხრიდამ ისმის, რომ სახელმწიფო ტყეების გამგეობისაგან ხალხს არაქათი აქვსთ გაწყვეტილი. თუ ხალხი გულნატკენია, თუ ხალხი ჩივის და დრტვინავს, ესე ყოველი ტყის მცველების ბრალია, რომელნიც დაუსჯელად ხალხს ტყავს აძრობენ ტყის ხმარების აუცილებლობისაგამო.

არც ერთის წოდების გამგეობა ჩვენს ქვეყანაში ისე უთავ-ბოლოდ და ღვთის ნებაზედ არ არის მინებებული, როგორც სახელმწიფო ტყეების გამგეობა. სწორედ ეს ტყის გამგეობა ტყის ხელის-უფალთა გამდიდრებისათვის შეიქმნა და გლეხის განადგურებისათვის. ჩივიან, ჰკვნესიან ტყის მცველთა ბოროტ-მოქმედებისაგან, მაგრამ გამკითხავი არავინ არის.

ჩვენს გლეხობას სადგომიც და მეურნეობაც ისე აქვს მოწყობილი, რომ ბევრი შეშა უნდება სათბობლათ პურის გამოსაცხობლად, და მრავალი ხე-ტყე შენობისათვის ლობის და ჭიგვისათვისათვის. ჩვენებურის გლეხისათვის ტყე ისე საჭიროა როგორც არსებითი პური. უტყეოდ ჩვენებური გლეხ-კაცი ვერ დადგება ისე როგორც უპუროდ. ეს იციან სახელმწიფო ტყის გამგეთა, ამათ სარგებლობენ და უბედურს, უნუგეშოს და მაინც ქვეყნის მაცხოვრებელს გლეხს ტყავს აძრობენ, როცა კი ხელში ჩაუვარდებათ. რომ ხშირად ჩაუვარდებათ ხოლმე ეგ აშკარაა, იმიტომ რომ გლეხს თითქმის ყოველ დღე უნდება ტყე და ამის გამო თითქმის ყოველ დღე ატუზულია „ლესნიჩის„ სახლის წინ ბარათისათვის. რამდენს ტანჯვას გამოივლის, რამდენს ხარჯს ჰწევს, რამდენს დროსა ჰკარგავს, ვიდრე „ლესნიჩი“ ინებებს და ბარათს მისცემს ტყეში შესვლისათვის. ერთი ურემი ფიჩხი რომ უნდოდეს სამს ცეცხლში უნდა გამოიაროს საწყალმა გლეხმა: ეს ლესნიჩიაო ეს ობიეზჩიკიაო, ეს პოლესოვჩიკიაო. მერე როგორღაც ჩვეულებათ დაქვეებათ ამ სამს პირს, რომ ხახა უნდა დაილბონ ყოველს შემთხვევაში—ედა ულბობს ხახას საწყალი გლეხი, რადგანაც მეტი გზა არ აქვს. წავა ტყეში ლესნიჩის ნებართვითა, დაუდებს ფიჩხს, თუ შეშას, რომელისათვისაც წინადვე ბაჟი აქვს გადებული, გამოვა ტყიდამ საწყალი და სულ იმ ფიქრშია, შარი რამ არ მომიდონო და ერთი ურემი ათად არ დამისხონო. ეფერება საწყალი პოლესოვშჩიკსაც, ობიეშჩიკსაც, ლესნიჩსაც და გულში ჰსწყევლის თავისის გაჩენის დღესაც და ამ სამს პირდალებულს მგელს, მასზედ მისეულს.

სახელმწიფო ტყეების გამგეობა ისეა ყველგან მოწყობილი, რომ საგნად სამი რამა აქვთ: 1) ტყეების წესიერად მოხმარება და საბოლოოდ გამოზოგვა; 2) ტყეებიდამ ჯეროვანი შემოსავალი ხაზინის სასარგებლოდ და 3) სამართლიანი, გაუჭირებელი ტყით სარგებლობა მცხოვრებთათვის.

ჩვენში ტყეების გამგეობა იმ გზაზედ მიდის, რომ ტყეები არამც თუ საბოლოოდ იზოგვება, არამედ სულ ძირს დაცემულია თითქმის და გათახსირებული; ხაზინას არამც თუ ჯეროვანი შემოსავალი შემოდის, არამედ იმის ნაათალიც არ შემოსდის, რაც ტყეებს ნამდვილი შე-

მოსავალი აქეთ და რაც ნამდვილსა ჰსჭარბობს, ეგ კიდევ მეტია; თვით მცხოვრებნიც ისე არა რაისაგან გაჭირვებულნი, შეწუხებულნი და განადგურებულნი არ არიან, როგორც ტყეთა გამგეების ბოროტ-მოქმედებისაგან. არაქათ გაწყვეტილმა გლეხობამ აღარიცის რა ქნას, როგორ დაიხსნას თავი ტყეთა გამგეობის თვით-ნებობისაგან რბევისა და შარისაგან. ივერიაში რამდენჯერმე იყო მოხსენებული ერთის „ლესნიჩის" ოინბაზობა, მაგრამ ამბობენ, რომ ამის ოინბაზობა ყვავილიაო მასთან, რაც სხვაგან თურმე ტყის გამგენი ჰსჩადიან.

როდის უნდა მოელოს ბოლო ამ ბოროტ-მოქმედებას, რომელიც ასე ძმარს ადენს ცხვირიდამ საწყალს გლეხობასა და თავის გაჩენის დღეს აწყევლინებს. ნუ თუ იმათ ვის ხელთაც არის ამ ბოროტ-მოქმედობის ძირით აღმოფხვრა, ჰგონიათ, რომ ეს სახუმარი ამბავია და ამიტომაც ყურს არ ათხოვებენ ამ ყოვლად შემაზარებელს, ყოვლად შემაწუხებელს და ყოვლად მოუნელებელს თვით-ნებობას ტყეების მცველებისას. დროა, დრო ყურადღება მიაქციონ და ვიდრე საშველია დაიხსნან საწყალი გლეხობა იმისთანა რბევისა და მტაცებლობისაგან, რომელიც ამ ჟამად იმათ საუბედუროდ და ტყეთა მცველების საკეთილოდ ეგრე საჯაროდ, აშკარად ჩვენში სუფევს. ტყე ტყეთ ფუჭდება, გლეხობას ერთი ათად უჯდება ტყის ბაჟი, ხაზინას ამით არამც თუ ემატება რამ, არამედ ბევრიც აკლდება და მეტყევენი კი ნავარდობენ და გლეხის ცრემლით და ოფლით ანგარების წყურვილს იკლავენ.

— ამტკიცებენ რომ ის თვალთ უჩინი ჭია, რომელსაც ფილოქსერას ეძახიან და რომელიც სამს წელიწადში თურმე სულ გააჩანაგებს და გადაახმობს ვენახსა, ყირიმშიაც გაჩენილაო. სახელმწიფო ქონების უფროს გამგებელს, უცნობებია რა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებისათვის ფილოქსერის გაჩენა ევროპაში, უკითხავს თუ რა ღონისძიება უნდა იხმაროს მთავრობამაო, რომ ეგ ჭია კავკასიაში არ შემოვიდესო. საზოგადოებას პასუხად უგია, დამოუნამ ზედ მიწევნითი და შეუწყვეტელი ზედამხედველობა უნდა იქონიოსო, რომ საზღვარ გარეთიდამ და ყირიმიდამ ვაზი და ჩიბუხის ტარები არ შემოუშვანო. ჩვენ ამას დავუმატებთ, რომ უნდა აიკრძალოს შემოტანა არამც თუ ვაზისა, არამედ ყოველის გვარის ხეხილისა და ყვავილისა, რადგანაც ეგ ჭია ხე-ხილსაც და ყვავილსაც თურმე გამოჰყვებაო. თუ სასტიკი და სწრაფი ღონისძიება რამ არ მიიღო მთავრობამა, დიდი უბედურება გაუჩნდებათ ვენახების პატრონებსა და ჩვენი ქვეყანა, რომელიც ვენახის მოსავლით სულდგმულობს, თითქმის დაიღუპება

— რუისში, უმაღლესის მთავრობის ნება-რთვითა, ე მაისს დაუდგენიათ რუისის სოფლის ბანკის ამხანაგობა. დამადგინებელთა საზოგადო კრება შეყრილა რუისშივე კონ. ქრისტეფ. მამაცაშვილის სახლში. კრების თავმჯდომარედ ამოურჩევიათ კ. ქ. მამაცაშვილი, რომელსაც მადლობა გამოუცხადებია არჩევისათვის, აუხსნია მნიშვნელობა სოფლის ბანკის ამხანაგობისა და აღუთქვამს ყოველი გვარი შემწეობა, რაც კი მის ხელთ იქმნება. დაფარულის კენჭის ყრითა შეჰსდგომიან ბანკის გამგეობისა და საბჭოს წევრთა აღმორჩევას. შვიდს გვამს გამოუცხადებია გამგეობის წევრად ამორჩევის სურვილი. ამათგან სამი შემდეგი გვამი ამოურჩევიათ: გლეხი ესტატე ნუზიაშვილი, სოსე ლებრიშვილი და აზნაური მიხეილ ქლიმიაშვილი. საბჭოში წევრად ამოურჩევიათ ესენი: თ. ი. დ. დიასამიძე, აზნაურნი გ. ი. მამაცაშვილი და ი. გ. ქლიმიაშვილი, გლეხნი გოგია უკლელაშვილი, გლახა ბეჟანაშვილი და გიორგი ბეჟუაშვილი. ამ არჩევანის დროს გლეხნი მეტად კეთილ-გონიერად და სიფრთხილით თურმე მოქმედებდნენ. ამ კრებაში შეუდგენიათ რამდენიმე განაჩენი ბანკის დადგენისა და მოქმედების შესახებ. (კავკასი № 88).

— კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების ანგარიშიდამ ჰსჩანს, რომ 1877 წ. 1-ს მაისამდე საზოგადოებას 267 სხვა და სხვა წოდების წევრნი ჰყოლია. ამათ შორის საზღვართ გარედ—12, რუსეთში—104.

— ამბობენ, ქიზიყში გოლვამ ავნოო წლევანდელს მოსავალსა, მაშინ როდესაც კახეთის სხვა ადგილებში ამდენი წვიმა არის, რომ ლამის მოსავალსაც აწყინოსო. ზოგიერთს ადგილს კახეთში სეტყვას დაუკრავს, მაგრამ მაგდონი არა უზარალებია რა.

— ბორჩალოდამ Тифлисскій Вѣстникъ-სათვის უცნობებიათ, რომ კალიას იალღუჯის მთებიდამ დაწყობილი სოფ. სარვანამდე ბალახი სულ მოუჭამიაო.

— 11 მაისს შუაღამის დროს კუკიის ხიდზედ ცეცხლი მოეკიდა მირზოევის დუქნებს, რომლებიც ხიდის სამხრეთის მხარეს იყვნენ. დუქნები და მათში უფრო ბევრი საქონელი გადიწვა. ამას წინად მირზოევს გადაეწვა იქავ ხიდზედ ჩრდილოს მხრივ დუქნები, და ესლა სამხრეთის მხრივ.

— ლონდონის ანტროპოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერს გოუერტს მოუყვანია რამდენიმე მტკიცე საბუთი, რომლის ძალითაც იგი ამტკიცებს, რომ ოსები სარმატების შთამომავალნი არიანო. რადგანაც ეს მეტად ახალი და შესანიშნავი ამბავია, ამისათვის ამ საგნის შესახებ მკითხველს წარმოუდგენთ შემდეგში გრცელს ცნო-

ზასა მასზედ თუ რა საბუთებზეა დამყარებული გოუერ-ტის აზრი.

— შაბათს 14 მაისს კავკასიის სასოფლო მეურ-ნეობის საზოგადოებას თვისთა წევრთა წლიური კრება მოუხდენია. ამ კრებაზედ დასწრებიან ყოვლად უსამღვ-დელოესი ეგზარხოსი საქართველოსი ევსევი, აღმასრუ-ლებელი მთავარ-მართებლობის უფროსის თანამდებობისა ღენერალ-მაიორი სტაროსელსკი, ტფილისის გუბერნა-ტორი ბარონი ოსტენ-საკენი, ტფილისის მოთავე დ. ს. ს. ყიფიანი და სხვანი ხარისხის მქონნი პირნი ქა-ლაქისა. კრებას მით დაუწყვია თვისი მოქმედება, რომ ვიცე-პრეზიდენტის და ერთის საბჭოს წევრის არჩევანს შეუდგომია. დაფარულის არჩევანით ამოურჩევიათ ვიცე პრეზიდენტად თ. ილია ჭავჭავაძე და საბჭოს წევრად უფ. გურგინბეგოვი. ახალს სეკრეტარს საზოგადოებისას ი. ს. ხატისოვს წაუკითხავს წარსულის წლის ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა. ლოჭინის სასწავლებლის ყოფილს დირექტორს უფ. გაევსკის წაუკითხავს ანგარიში ლოჭინის სასწავლებლის წარმოებისა. მას შემდეგ სეკრე-ტარსვე უფ. ხატისოვს წაუკითხავს თვისი წერილი შე-სახებ სასოფლო მეურნეობის გამგეობისა კავკასიაში. სასოფლო მეურნეობის ინსპეკტორს უფ. მოროზს წაუ-კითხავს წერილი „ფილოქსერის“ შესახებ. (კავკასი № 19).

— ზოგიერთთა გულმტკივნეულთა პირთა მეცადი-ნეობით ტფილისში შემდგა საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს მზრუნველობა ღარიბთა ყრმათა აღზრდისა-თვის. ამ საზოგადოებას ამოურჩევია შემდეგნი პირნი ამა მეტად კეთილის საქმის წარმოებისათვის: თ. გიორგი რომანისძე ერისთავი, კონსტანტინე ქრისტეფორესძე მამაცაშვილი, თ. ირაკლი კონსტანტინესძე ბაგრატიონ მუხრანსკი, თ. ალექსანდრე ზაალისძე ჩოლოყაშვილი, თ. დავით ივანესძე ავალიშვილი, თ. დავით გიორგისძე ერისთავი, თ. ილია გრიგოლისძე ჭავჭავაძე და დიმიტრი ზაქარიასძე ბაქრაძე.

## ომის ამბები

წარსულ კვირაში შემდეგი ამბავი მოვიდა ომის შე-სახებ: აფხაზებს არეულობა მოუხდენიათ და სოხუმის სამ-ხედრო განყოფილების უფროსს ღენერალ კრავჩენკოსჯვარი გაუგზავნია, რომელსაც აგათის მაღლობზე აფხაზები-სათვის მოუსწრია და დიდი ზარალი მიუყენებია. ამ ომში მოუკლავთ ახალციხის პოლკის შტაბს-კაპიტანი ლინდს-ტრემი და მესამე ლინეინის ბატალიონის პრაპორშჩიკი ხოვრენკო, და სუბუქად დაუჭრიათ იმავე ბატალიონის პრაპორშჩიკი საკალოვსკი. გარდა ამისა ოცი სალდათი მოუკლავთ და ოცდა ათი დაუჭრიათ.

— ერთი ნაწილი ოსმალოს ქვეითა ჯარი არტი-ლერიით სოხუმს გასულა ზღვიდამ.

— 10 მაისს ოსმალოს შვიდი ხომალდი მისულა ადლერთან *) და სამი ათას კაცამდისინ ჯარი გადაუსხამთ. ჩვენის მხრით მონაწილეობა მიუღიათ მესამე პლასტუ-ნის ბატალიონს და მეორე ლინეინის ბატალიონის როტას, რომელნიც ლესნოისკენ დაწეულან. მათ შორის ცა-მეტი კაცი მოკლულა და შვიდი დაჭრილა.

— 10 მაისს ნიკოლაევსკის პორტთან მისუ-ლა ორი ოსმალოს ჯავშნიანი ხომალდი. შუადღისას ორი კიდევ მიმატებია და ჩოლოქის გაყოლებაზედ ზარბაზანი უსვრიათ. ქობულეთის ატრიადს კინტრი-შისკენ გზა გაუკაფავს (45 ვერსტი).

— შავშეთში ფაშისა და მის ხელქვეით შორის განხეთქილება მომხდარა და ამის გამო ფაშა შვიდასი კაცით ბათუმისკენ წასულა.

— დუნაიზე, ბრაილოვთან ორმა რუსის ლეიტენანტმა დუბასოვმა და შესტაკოვმა დალეწეს (ნაღმი მიაპარეს ნა-ვებით და აფეთქეს) ოსმალოს სამხედრო ხომალდი (მო-ნიტორი). ამისთანა თავ-გამომეტებულის საქმისათვის მათ წმინდა გიორგის ჯვრები მიუღიათ. ამ საქმეში სულ ორმოცმა კაცმა მიიღო მონაწილეობა, და არც ერთს არავითარი ზარალი არ მისცემია. ოსმალოს ხომალდთან ერთად ასი კაცი დაღუპულა.

— ოსმალები ყუმბარებს ესვრიან კალაფატს *). რუსები ყურყევაში მისულან**) ოლტენიცდგან ***). რუ-სები ყუმბარებს ესვრიან იმ სიმაგრეებს, რომელთაც ოსმალები ტურტუკაიში აშენებენ (ნაპირას, ოლტე-ნიცის პირდაპირ).

## აწინდელის დროის შესახებ

ომიანობის დროს, სხვათა შორის, ერთი შესანიშნავი ხასიათი აჩნდება: რაც თვითოეულ სახელმწიფოს და მის საზოგადო განწყობილობას სატკივარი და სამაგლობა რამ აქვს გამჯდარი, ყველა მაშინ ამოჩნდება ხოლმე.

*) შავი ზღვის ნაპირია, სოხუმის ზემოდ.

**) რუმინიის ქალაქია დუნაის ნაპირას ვიდდინის პირდაპირ.

***) ყურყევაც რუმინიის ქალაქია დუნაის ნაპირას, რუშ-ჩუკის პირდაპირ.

****) რუმინიაში.

ჩვეულებრივად თითქო მიყრუებული, თითქო ყველასთვის უცნობი და გაუგებარი, ეს სატკივარი ომიანობის დროს გამოჰყოფს თავს და უფრო აშკარად ეჩვენება ქვეყანას. ეს გარემოება არამც თუ მარტო იმ სახელმწიფოებს შეეხება, რომელნიც ომში თვითონ არიან გაბმულნი, არამედ იმათაც, რომელთაც ომში არავითარი პირ-და-პირი მონაწილეობა არ მიუღიათ. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ სხვა და სხვა ნაირად გამოუჩნდებათ დამალული ტკივილი. იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც ომში პირ-და-პირ არის გაბმული, ომი დიდი განსაცდელია. იგი აღმოაჩენს თითქმის ყველა მის ნაკლულევანებას, მის უმთავრეს ხასიათსა და თვისებას. ომი თითქო იმისთვის არის გაჩენილი, რომ ჩვეულებრივად ბრმა-საზოგადოებას ცხადად დაანახოს მისი თავი. მაგალითებრ, ყირიმის ომიანობამ გამოაჩინა, რომ რუსეთის შინაგანი განწყობილება ყოვლად უმგზავსი და უხეირო იყო, უჩვენა საზოგადოებას ძირიანის ცვლილების აუცილებელი საჭიროება და იმ გზაზედ დააყენა, რომელზედაც ამ ოცის წლის განმავლობაში მოძრაობს. საფრანგეთის ომიანობამ 1870 წ. ცხადად აღმოაჩინა ის უმსგავსი და ბილწი საზოგადოებრივი და პოლიტიკური განწყობილება, რომელსაც ნაპოლეონ III ამოქმედებდა თავის ქვეყანაში თითქმის ოცის წლის განმავლობაში. იმავე ომიანობამ დაანახვა ქვეყანას თუ რა ძალა ატრიალებს გერმანიას და რა გრძნობა აწარმოებს მის საპოლიტიკო ცხოვრებასა. მართალია, გერმანიამ თავისი სიმძლავრე გამოიჩინა, მაგრამ საუბედუროდ, ის ძალა, რომელიც მხოლოდ მუშტზედ და თოფ-იარაღზედ არის დამყარებული, ვერაფერი თანმდებია დიდებისა და პატიოსნებისა; ვერაფერი თავგამოსადები და პატივსაცემი გრძნობაა ის გრძნობა ადამიანისა, რომელიც მხოლოდ იმის კერძო სარგებლობისკენ არის მიქცეული. რა გამოვიდა, რომ გერმანიამ გაიმარჯვა, თუ ამ გამარჯვებას თან ზემოხსენებულის ძალისა და გრძნობის გამარჯვება მოსდევს. საქმე ცარიელი გამარჯვება ხომ არ არის. საქმე ის არის — რა დედა აზრი მოსდევს ამ გამარჯვებას და რა იდეა მკვიდრდება მით ცხოვრებაში. ესეა თუ არა მაინც ამას ვიტყვით, რომ ომი როგორც დამარცხებულისათვის აგრეთვე გამარჯვებულისათვის ერთ ნაირი განსაცდელია: დამალულს საძაგლობას და სატკივარს ორთავეს გამოუჩენს ხოლმე. ცარიელი გამარჯვება დიდი ნიშანი არ არის კეთილ განწყობილებისა და წარმატებისა.

მეორის მხრით, იმ ქვეყანაშიაც, რომელიც ომში პირ-და-პირ არ არის გარეული, თითქმის ყველა უმზგავსობა ამოჰყოფს ხოლმე თავს-თითქო მშვიდობიანობის დროს სირცხვილით ვერ გამოუჩენია თავი საქვეყნოდაო. ამის მაგალითიც ბევრი მოიძებნება და შორს რომ არ წავიდეთ, ეხლაც გვიდგია თვალ-წინ. აბა გადაავლეთ თვალი კლერიკალების მოძრაობას, შეჰხედეთ რა ამბავში არიან პაპი და მისი კეთილის მოსურნენი. თქმა აღარ უნდა იგინი საყოველთაო არეულობით სარგებლობენ, რომ თავისი საწადელი აისრულონ და ამ ქვეყნიერობის ბედი ხელში ჩაიგდონ. წრეულ შესრულდა ორმოცდა ათი წლიწადი მას აქედ, რაც პიო IX ეგურთხა ეპისკოპოსად. ამის გამოისობით რომში დიდი მღელვარებაა და დიდძალი ხალხი გროვდება პაპის მისალოცავად. ჯერ-ჯერობით ცხრაათასი სული შეყრილა რომში. ისეც ყოველს წელს ბევრნი მიდიან რომში სალოცავად და ეხლა რაღა იქმნება. დიდ-ძალი ძღვენი მოსდის პაპს ყველა ქვეყნებიდამ. ფილადელფიის არქიეპისკოპოსმა მოართვა მას ორასი ათასი ფრანკი ოქროთი; ნიუორკის არქიეპისკოპოს მიურთმევია პაპისათვის ორმოცდა ათი ათასი ფრანკი ოქროთივე. ბალტიმორიდამ, ბოსტონიდამ და სხვ. ადგილებიდამაც დიდძალი ფული მოსვლია. არც გერმანიის მლოცავნიც ჩამორჩომიან სხვებს. რომ მათი ძღვენიც მცირე არ არის, ამას გვიმტკიცებს ის უშველებელი ბაჟი ცამეტი ათასი ფრანკი, რომელიც გადიხადეს მათ იტალიის სამზღვარზედ.

კარდინალებმაც ისურვეს ძღვენის მირთმევა: ერთი დიდი და სქელი ოქროს მედალი ამოაჭრევინეს, რომლის ერთ გვერდზედ პაპის პიო IX-ს სახე გამოყვანილი და მეორეზედ აწერია, რომ პიო IX ეგურთხა ეპისკოპოსად 3 ივნისს 1827 წ.

მაშ რაღა აწუწუნებს პაპს თუ კი ამისთანა ყოფაშია? იტყვის მკითხველი. მოითმინეთ: პაპიც თავის მხრით მლოცავებს მედალს ურიგებს, რომელზედაც ერთ გვერდზედ დახატულია ხუთი ნაწილი დედა მიწისა, რომელნიც პეტრე მოციქულის ტრაპეზის ქვეშ გართხმულნი არიან. მეორე გვერდზედ დახატულია წმ. პეტრეს ეკკლესია (სადაც პი IX ეპისკოპოსად ეგურთხა). ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ პაპი თავის-თავს პეტრე-მოციქულის მემკვიდრედ ჰრაცხავს. ეხლა ცხადია მისი წუწუნი: ზენაარი არსება — პაპი უნდა იყოს და მის ფეხთა ქვეშ გართხმული მთელი დედა-მიწა — აი მისი ტკივილი და ზრუნვა, აი რისთვის წუწუნებს. საკვირველია, ამოდენა საუკუნემ თითქო უქმად ჩაიარა კაცობრიობისათვის; თითქო საშუალ-საუკუნის უმეცრებას და ცრუ-მორწმუნეობას ხელმეორედ უნდა ფრთა გაშალოსო.... პაპს ჰსურს მიიზიდოს თავისკენ რომელიმე სახელმწიფო და მის შემწეობით აბძანდეს უწინდებურს, მაგრამ ამ ჟამად დანგრეულს ტახტზედ. ეხლანდელი ომიანობაო, — ამბობენ კლერიკალები, თუმცა აღმოსავლეთიდამ დაიწყოვო, მაგრამ რომში კი გათავდება პაპის განთავისუფლებითაო. მაინც და მაინც

უკანასკნელი თოფი რომში უნდა გავარდესო“. ნუ თუ ეს თოფი მაკ-მაგონმა უნდა გაისროლოს? იმავე დღეს, როდესაც საფრანგეთის სამინისტრო გამოვიდა სამსახურიდამ, ჟიულ-სიმონს ეწვია ღენერალი ჩიალდინი, იტალიის ელჩი და ამ სიტყვებით მიეგება: „ეს ამბავი იტალიისთან ომს მოასწავებსო.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

---

უცნაური მდგომარეობაა, სწორედ რომ ჰსთქვას კაცმა. ამაზედ მეტი კი არა ისმის რა: „ინგლისი მტკიცე ნეიტრალიტეტს დაიჭერს აღმოსავლეთის საქმეში და მხოლოდ თავის სარგებლობაზედ იზრუნვისო“ ავსტრია-ვენგრია მტკიცე ნეიტრალიტეტს დაიჭერს და მხოლოდ თავის სარგებლობაზედ იზრუნვისო“ და სხვ. ეს ხმა მაღლა რომ არ გამოეცხადებინათ ვითომ ვინ არ დაიჯერებდა, რომ ისინი მარტო თავის კერძო სარგებლობაზედ ზრუნავენ! აი ამ უმნიშვნელო ლაპარაკით არის სავსე ეხლანდელი პოლიტიკა. ვინ იცის! იქნება ეს სიჩუმე და მიყრუება დიდ ქუხილსაც მოასწავებს! ეხლა პოლიტიკა თითქო შესწუდა და ყველგან მხოლოდ თოფიარაღის მზადების ჩახა-ჩუხი ისმის. დავანებოთ ამ აღმოსავლეთის საქმეს თავი ვიდრე გადაწყვეტილი ამბავი რამ არ მოვა, და ყური ვათხოვოთ. **ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ს.** სადაც ამ ჟამად მართლა ძალიან შესანიშნავი ამბებია.

აი რას იწერება პარიჟიდამ ერთი ნემეცურის გაზეთის კორრესპონდენტი 16 მაისს (ჩვენებურად 4 მაისს) ჟიულ-სიმონის კაბინეთის სამსახურიდგან გამოსვლის შესახებ: „კლერიკალებმა თავისი გაიტანეს და რესპუბლიკის პრეზიდენტი დაიყოლიეს: დღეს მაკ-მაგონმა ჟიულ-სიმონი დაითხოვა სამსახურიდგან და ისიც ისე წინდაუხედავად და უმართებულად, როგორც თვით განუსაზღვრელის მონარხიის მოთავეც საფრანგეთში ვერ გაბედავდა. მაკ-მაგონის ქცევამ, მეტადრე მისმა წიგნმა ჟიულ-სიმონისადმი, რომელშიაც ნაპოლეონსავით იხსენიებს თავის პასუხის გებას საფრანგეთის წინაშე, დიდი უსიამოვნება მოიპოვა არამც თუ მარტო პოლიტიკის კაცთა შორის, არამედ მოფინანსე და მოვაჭრე ხალხშიაც. ყველამ უსიამოვნოდ მიიღო ის გარემოება, რომ მაკ-მაგონმა კლერიკალების ერთგულობით ახალი გაჭირვება მიაყენა საფრანგეთს. ნამდვილი მიზეზი ჟიულ-სიმონის დათხოვნისა ის იყო, რომ იგი მიემხრო პალატის გარდაწყვეტილებას 4 მაისს *). კლერიკალებმა ყოველივე ღონისძიება იხმარეს და მაკ-მაგონს გააბედვინეს იმისთანა საქმის ქმნა, რომელსაც მთელი ქვეყანა უყურებს, როგორც სახელმწიფოის ძირის შერყევასა. უმთავრესი მონაწილეობა ამ საუბედურო საქმეში ჰერცოგ დეკაზს (გარეშე საქმეთა მინისტრი) და ეპისკოპოსს დიუპანლუს ჰქონია.“

რა დღესაც ჟიულ-სიმონი გადადგა სამსახურიდამ, რესპუბლიკელები შეყრილან და დიდი ლაპარაკი ჰქონიათ. სხვათა შორის გამბეტას უთქვამს, რომ ჩვენ უნდა ვეცადოთო ეხლანდელი პალატა დავათხოვინოთ, ახალის პალატის არჩევანში მტკიცე რესპუბლიკის გზას დავადგეთო და მაკ-მაგონის საქციელს კი ყურსაც ნუ ვათხოვებთო. დეპუტატს მენიეს წამოუძახნია, რომ ამ გვარი მოქმედება მაკ-მაგონისა ძირეული შერყევაა სახელმწიფოსი. ამ კრებაში ყველას ერთად გადაუწყვეტია, რომ მარშალმა მაკ-მაგონმა კონსტიტუცია დაარღვიაო და უსათუოდ ამაზედ ხვალვე უნდა მოვსთხოვოთ მთავრობას პასუხიო; ამასთანავე ხვალვე უნდა შევიტანოთ პალატში წინადადებაო, რომ მაკ-მაგონი გადადგესო პრეზიდენტობიდამ, რადგანაც მან საფრანგეთის კანონებს პატივი არ ჰსცა და უღალატაო.

რა ჰსურს მაკ-მაგონს? იქნება ნაპოლეონ III გზას დაადგეს და ზურგი შეაქციოს კანონს, სინიდისს, ხალხის სურვილს და თვით აღიმართოს იმპერატორის ტახტი, ან იქნება შამბორისთვის ჰსცდილობს, რომელსაც თავისი თავი საფრანგეთის კანონიერ ხელმწიფედ მიაჩნია. ეს არის თუ ის მისი გულის-საწადელი, მაინც განსაცდელით სავსეს გზას დაჰსდგომია მაკ-მაგონი. როდესაც მაკ-მაგონი რესპუბლიკის პრეზიდენტად ამოირჩიეს, აი რას ამბობდნენ მონარხიელები: „მაკ-მაგონი ირლანდიის კოროლების შთამომავალია და არას დროს არ გამოიცვლის თავის მონარხიელს რწმენას; მაკ-მაგონი იმ გვარის შვილია, რომელიც ყოველთვის მორჩილი ყოფილა თავისვე კოროლისა. მისი გვარი ყოველთვის ერთგული მონა იყო ბურბონებისა; ეს თვითონ მათ ხშირად უქადნიათ. თვითონ მარშალს რამდენჯერმე უთქვამს, რომ იგი მონა არის კანონიერის კოროლისა (ე. ი. შამბორისა). თუმცა იგი ეხლა რესპუბლიკის პრეზიდენტია, მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეხლაც იგი ისევ იმისთანა ლეგიტიმისტია (ბურბონიელი მონარხიის მომხრე) როგორც უწინ ყოფილა და როდესაც მოვა დრო მაკ-მაგონი, რასაკვირველია, უკან არ დაიწევს და ერთგულ სამსახურს გაუწევს თავის კოროლსა.“ ალბათ მაკ-მაგონს ისა ჰგონია, რომ დრო მოვიდა—ჩემს კოროლს სამსახური გავუწიოვო.

მაკ-მაგონი რომ პრეზიდენტათ გახდა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ არავითარ ძირიან ცვლილებას არ მოვახდენო და მტკიცედ დავიცავ აწმყო წესიერებასაო.

---

*) იხ. „ივერია“ № 11.

ვინ იცის ამის მთქმელს რა ედვა გულში. მაგრამ რესპუბლიკელებს სჯეროდათ მისი გულ-წრფელობა მით უფრო, რომ მაკ-მაგონი თავის დღეში არ ყოფილა პოლიტიკის კაცი, იგი მხოლოდ თავის სარგებლობას დაეძებდა და ყოველს მთავრობას ერთგულად ემსახურებოდა. „მე მარტო სინიდისიანად ვასრულებ ჩემს მოვალეობასო“, ამბობდა ხოლმე მაკ-მაგონი ყოველ შემთხვევაში და ამით პირნათლად გამოდიოდა გაჭირვებისაგან. მაკ-მაგონი ყოველთვის იმ მხარეს მიემხრობოდა, რომელსაც ძალა და უფლება ჰქონდა. მაგრამ რესპუბლიკელებმა იცოდნენ, რომ მაკ-მაგონს ახვევიან იმისთანა ბოროტი კაცები, რომელთათვის არც სამშობლო, არც სინიდისი, არც კაცთ-მოყვარეობა, და რომელნიც ყოველ ჟამს გამზადებულნი არიან დაღუპონ რესპუბლიკაც, თვითონ საფრანგეთიც, ოღონდ კი დაიცვან თავისი უფლება, სიმდიდრე და დიდების მოყვარეობა,—ესე ყოველი რესპუბლიკელებმა იცოდნენ და ამიტომ მაკ-მაგონს სრულად ვერ დანდობოდნენ.

ამ კაცთა შორის იყო ჰერცოგი ბროლჯი, რომლის მეოხებითაც ელირსა მაკ-მაგონს რესპუბლიკის პრეზიდენტობა. ამისთანა ბოროტი და სამშობლოს მოღალატე კაცი ძნელად უნახავს საფრანგეთს დიდი რევოლიუციის აქეთ. საკვირველია, რომ ამისთანა ყოვლად უნიჭო, უსინდისო კაცი კიდევ ჰპოვებს მსმენელსა, მაყურებელს და მომხრეს. როგორც მწერალი ჰერცოგი ბროლჯი იმ აზრისაა, რომ კაცობრიობის წარმატება კათოლიკის სარწმუნოების საქმეა, რომელიც ყოველთვის თავისუფლებას ქადაგობსო. ბროლჯის აზრით საშუალ საუკუნის სხოლასტიკებმა უფრო მეტი სარგებლობა მოუტანეს კაცობრიობას ვიდრე იმისთანა მეცნიერებმა, როგორც გალილეი, კეპლერი, ნიუტონი და სხვ. „კათოლიკობა ყოველთვის გულკეთილობით იყო სავსეო“, ამბობს ბროლჯი. რაც შეეხება თვითონ მის გულკეთილობას და კაცთ მოყვარეობას,—ეს შემდეგიდამ ჰსჩანს. ბროლჯის შვილების მასწავლებელს შეუყვარდა მისი ცოლი. ეს იყო ნაპოლეონ III დროს. ბროლჯიმ შეიტყო ეს ამბავი და გგონიათ რაინდობა რამ გამოიჩინა თუ? არა, სხვა რიგად ამოიყარა მისი ჯავრი. ექიმისა და პოლიციის შემწეობით ეს მასწავლებელი გიჟების სამკურნალოში დაამწყვდია. წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო გონება-მრთელი კაცი, რომელსაც ისე ეპყრობოდნენ როგორც გიჟს. ეს ამბავი ცხადად გვიმტკიცებს თუ რა გავლენა ჰქონდა ბროლჯის ნაპოლეონის მმართველობის დროს.

რა რიგად უყვარს ბროლჯის თავისი სამშობლო ამას გვიმტკიცებს მისი მოღვაწეობა, როდესაც იგი გარეშე საქმეთა მინისტრად იყო. იმისთანა წერილი გაუგზავნა სხვა სახელმწიფოებს, რომ უცხო ქვეყნების გაზეთებსაც კი შერცხვათ. ამ წერილში ბროლჯი ამბობდა, რომ საფრანგეთში უთავბოლოება არისო, მთავრობა ცდილობსო, რომ შინ მშვიდობიანობა დაიცვასო; ყველა სახელმწიფოს სარგებლობა მოითხოვს, რომ საფრანგეთში რევოლიუციის სული გაქრესო. ერთი სიტყვით, საფრანგეთი დაამცირა მთელის ქვეყნის წინაშე.

აბა, ამისთანა კაცი აუყვანია ესლა მაკ-მაგონს მთავრობის მოთავედ. მართლა და დიდი დაბრმავებული გამბედაობა უნდა გამოიჩინოს კაცმა, რომ ქვეყნის წინაშე აბრუგატეხილი და შერცხვენილი კიდევ გამოვიდეს პოლიტიკის ასპარეზზედ. ნუ თუ ამ რიგ ვაჟბატონებს ავიწყდებათ, რომ ეხლანდელი საფრანგეთი ის საფრანგეთი აღარ არის, რომელიც ოცდა ხუთის წლის წინედ იყო. იგინი თვისის მელაძუობით თავის თავს თუ დაღუპვენ, თორემ რესპუბლიკას, რომელიც ამ ჟამად საფრანგეთის ხორცში და ძვალშია გამჯდარი, ვერაფერს ვერ დააკლებენ.

— იმ სახლის წინ, სადაც რესპუბლიკელები შეკრებილი ყოფილან 10 მაისს (4 მაისს), ღამის 10 საათზედ, დიდძალი ხალხი მოგროვებულა. თითქმის ოცი ათასი კაცი მდგარა მწკრივად. დაუნახავთ თუ არა გამბეტა, ხალხს ერთის ხმით დაუძახნია: „რესპუბლიკას გაუმარჯოს!“ აქ პირველი სიტყვა გამბეტას წარმოუთქვამს. „თქვენ იცითო, უთქვამს გამბეტას, რა უცნაური და პარლამენტის ჩვეულებათა წინააღმდეგი საშუალება იხმარა რესპუბლიკის პრეზიდენტმა იმ სამინისტროის შესახებ, რომლისკენაც იყო ორივე პალატის უმრავლესობა“.

„თუმცა ეს ასე ჰქმნა პრეზიდენტმა, მაგრამ ერის წარმომადგენლებმა მშვიდობის მყოფელობა და დამჯდარი გონიერება უნდა გამოიჩინონ ამ ახალის შემთხვევის წინაშე, რომელმაც ასეთის გამბედაობით დაარღვია კავშირი და დამოკიდებულება საზოგადოებრივთა უფლებათა შორის. ამისთანა დროს ჩვენ უნდა მოვერიდოთ გულფიცხსა და უნაყოფო ბაასს. როდესაც კაცი მძიმე საქმეს დაადგება, იმისთანა საქმეს, რომელსაც ძალა და სახელი უნდა ჰქონდეს, მაშინ საჭიროა კაცმა დაიცვას სრული ღირსება და აღმოთქვას მხოლოდ ის, რაც ყოვლად მართებული და კანონიერია“ (აქ გამბეტას ტაში დაუკრეს).

„რესპუბლიკის პრეზიდენტი ამბობს, რომ იგი თვით არის პასუხის მგებელი საფრანგეთის წინაშე. ამით ვითომ იმის თქმა უნდა, რომ პირადი უფლება მე მაქვს მონიჭებულიო. თქვენ ამის პასუხად მიუგეთ, რომ უფლება მხოლოდ ქვეყნის ხელთ არის, და ქვეყნის კანონიერი წარმომადგენელნი თქვენა ხართ.“

ეს კრება რომ დაიშალა და გამბეტა გამოვიდა გარედ, ხალხმა შეჰსძახა: „გაუმარჯოს გამბეტას! გაუმარ-

ჯოს რესპუბლიკას!“ გამბეტამ ხალხს ეს უთხრა: „ნება მომეცით მე ვითარცა კანონის დამცველს, მოგცეთ ერთი რჩევა, რომელიც ყველამ უნდა აღასრულოთ: მე გირჩევთ ზომიერებას არ გადაჰსცდეთ. ჩვენ დაგვენდევით. გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ ხალხმა ხელმეორედ დაიგრიალა: vire la résрublique! პოლიციას ხმაც არ ამოუღია და მარტო ორი კაცი დაატუსაღა, ისიც ისინი, რომელნიც უყიროდნენ: „არ გვინდა რესპუბლიკა, გაუმარჯოს კლერიკალებსაო!“ ესეც იმიტომა ჰქმნა პოლიციამ, რომ ის უბედურნი მოერიდებინა, თორემ ხალხი მათ გაი დღეს არ დააყრიდა.

ამ რესპუბლიკელთ კრებაში მიუღიათ ეს წინადადება, რომელიც მეორე დღეს პალატში უნდა შეეტანილიყო: „რადგანაც მარტო რესპუბლიკას შეუძლიან დაიცვას რიგი და წესიერება შინ და მშვიდობიანობა გარედ, ამისათვის პალატი აცხადებს, რომ იგი მხოლოდ იმ კაბინეთს ენდობა, რომელიც თავისუფლად განაგებს საქმესა და რომელიც მხოლოდ რესპუბლიკის გზას ადგია.“

თქმა აღარ უნდა, რომ ყველა დიდის მოუთმენლობით ელოდდა მეორე დღეს, რადგანაც ამ დღეს დეპუტატთა პალატში დიდი და ცხარი ბაასი უნდა გამართულიყო. მართლა და პალატი გაჭედილი იყო ხალხით. წამოდგა გამბეტა და სთქვა შემდეგი სიტყვა:

„ყველაზედ უწინარეს ვალდებულ ვრაცხ ჩემ თავს გამოვაცხადო, რომ მე არც ერთს უმართებულო სიტყვას არ ვიტყვი რესპუბლიკის პრეზიდენტიის წინააღმდეგ (ძალიან კარგი, ძალიან კარგი). დღევანდელ ბაასს დიდი მნიშვნელობა აქვს ჯერ იმიტო-რომ აქ ლაპარაკია იმაზედ, თუ რამოდენად მართებულად და წესიერად ხმარებულია კონსტიტუცია, რომელიც ქვეყნის მიერ არის აღიარებული და მერმე იმიტომ რომ დღევანდელს ბაასს დიდი გავლენა ექმნება თვით კონსტიტუციის მომავალზედ. ამის გამოისობით ჩვენი ბაასი ისე მშვიდობიანად და ისეთის პატივის-ცემით უნდა წარემართოს, როგორც ამ მძიმე საგანს ეკადრება და შეეფერება. (ძალიან კარგი, ძალიან კარგი). ვალდებულ ვარ გაცნობოთ რა შთაბეჭდილება მოახდინა დეპარტამენტებში მთავრობის მოქმედებამ. ამ მოქმედებამ დიდად აღელვა ხალხი. რადგანაც ხალხი აღელვებულია, ჩვენ უნდა რომელიმე გარდაწყვეტილებაზედ დავსდგეთ იმ საქმის თაობაზედ, რომელზედაც ეხლა ვლაპარაკობთ. იმ დროს როდესაც პალატთა და კაბინეთის შორის არავითარი განხეთქილება და უთანხმოება არ ყოფილა, როდესაც საფრანგეთი მარტო იმის ცდაში იყო რომ მშვიდობიანობა დაეცვა, მარტო იმას ზრუნავდა, რომ უწინდელი თავისი სიმდიდრე და მნიშვნელობა აღედგინა, მაშინ უცებ გვაუწყეს, რომ რესპუბლიკის მოთავემ სამინისტროს პრეზიდენტს იმისთანა წიგნი მისწერა, რომლის გამოისობითაც მთელი სამინისტრო სამსახურიდგან გადადგაო. რასაკვირველია, ყველამ ეს იკითხა: რა ამბავია, რა მიზეზია ამ მთავრობის განხეთქილებისა? ბოლოს გამოჩნდა, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომლის გულწრფელობას ეჭვი არა აქვს, გარს ახვევია სხვა და სხვა მრჩეველნი, რომელნიც სულ იმას ცდილობენ, რომ პრეზიდენტს, როგორც შინაგან აგრეთვე გარეშე საქმეებში იმისთანა რამ მოახდენინონ, რომელსაც დიდი შიში მოსდევს. აი რამ ჩააფიქრა საფრანგეთი და ელდა ჰსცა ჩვენს ქვეყანასა. შემკრთალი ქვეყანა ჰკითხულობდა—გარდა თვალთ საჩინო მთავრობისა, მეორე უჩინარი და საიდუმლო მთავრობა ხომ არ აგვიჩნდაო ჩვენის კეთილ-მოღვაწეობის დასაბრკოლებლადაო. აი ამას ჰსწუხს ყოველი სული.

„ჩვენ საბუთი გვაქვს მოვახსენოთ რესპუბლიკის პრეზიდენტს: თქვენ მოტყუებული ხართ და გირჩევთ მტკიცე ერთგულობა გაუწიოთ კოსტიტუციას, რომელიც ჩვენც გვიფარავს და თქვენცა. (აქ გამბეტას ტაში დაუკრეს).

„ჩვენ მხოლოდ თვით მმართველობის გულწრფელი მოხმარება გვინდა“. თუმცა რესპუბლიკის პრეზიდენტი განთქმულია მხედრობაში და ძლევით მოსილი, მაგრამ სამხედრო მოღვაწეობაში გართულსა პოლიტიკისათვის მოცლა არ ჰქონია და პოლიტიკისათვის თვალ-ყური არ უდევნებია. ამიტომ იგი უფრო მალე მოტყუვდება ვიდრე სხვა სახელმწიფოს მოთავე ვინმე. ჩვენ ვურჩევთ მას ნუ გადასცდება კონსტიტუციას, თორემ გაჭირებაში მეგობარს ვეღარ მოიპოვის. გაფრთხილდით,—ხალხმა უწყალო სამაგიეროს გარდახდა იცის, როდესაც მის მშვიდობიანობას ერჩიან და ღალატობენ.“

დიდხანს და მშვენიერად ილაპარაკა გამბეტამ. დიდი ხანია მას არ გამოუჩენია ამოდენა ხერხი და დიდი ხანია ასე კარგად არ გამოუხატავს მთელი პალატის გრძნობა და მიმართულება. ბოლოს პალატმა მიიღო ზემოხსენებული წინადადება რესპუბლიკელთა. (355 თეთრი კენჭი მოუვიდა და 154 შავი).

ამის შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტმა განკარგულება მოახდინა, რომ პალატი და სენატი ერთის თვით დათხოვნილ იქმნას. ეს ვერაფრად მოეწონათ რესპუბლიკელებს, რადგანაც იციან, რომ ამ დროებით დათხოვნას, სამუდამოთ დათხოვნაც ზედ მოჰყვება და სხვა პალატა შეჰსდგება ახალის არჩევანითა. ამიტომაც რესპუბლიკელები შეიყარნენ ვერსალში და შემდეგი მანიფესტი გამოსცეს საფრანგეთის ხალხისადმი: „ძვირფასნო მამულის შვილნო, პალატის დათხოვნის განკარგულება, რომელიც თქვენ წარმომადგენელთა მოულოდნელად თავს დაეცა, არის მხოლოდ პირველი ბიჯი ახალის სამინისტროისა, რომელ-

საც მოუწადინებია უარჰყოს საფრანგეთის სურვილი. რესპუბლიკის პრეზიდენტის წიგნი კარგად გვიჩვენებს მარშლის მრჩეველთა განზრახვას. პალატი გაუქმებულ იქმნა ერთის თვით. ამ ერთის თვის განმავლობაში სენატსაც მიიმხრობენ, რომ მისის თანხმობით ახლანდელი პალატი სამუდამოდ გადააყენონ. *) კაბინეთი, რომელსაც ყოველ შემთხვევაში პალატის უმრავლესობა მხარს აძლევდა გადააყენეს სამსახურიდგან ასე, რომ პალატაში ამაზედ ბაასიც არ ყოფილა. ახალმა მინისტრებმა წინადვე იგრძნეს, რომ თუ საქმე პარლამენტზედ მივარდებოდა, პალატი ერთს დღესაც არ დააყენებდა იმ კაბინეთს, რომლის მოთავე ჭერცოგი ბროლჲია. რადგანაც ჩვენ აღარ შეგვიძლიან პალატში გამოვაცხადოთ ჩვენი სამდურავი და კიცხვა, ამიტომაც ვისურვეთ თქვენ მოგმართოთ და დაგარწმუნოთ, რომ ჩვენს მტრებს მეცადინეობა უქმად ჩაუვლით. საფრანგეთს რესპუბლიკა ჰსურს; მან ეს სურვილი გამოაცხადა 20 თებერვალს 1876 წ. და ყოველთვისაც გამოაცხადებს, როდესაც მის სურვილს დაეკითხებიან. კიდეც იმიტომ ცდილობენ შეაყენონ ხალხის სურვილის გამოცხადება, რომ წრეულ მუნიციპალისა და დეპარტამენტების საბჭოს წევრთა არჩევანი უნდა მოხდეს.

„ხალხი თვისის მშვიდობიანობით, დამჯდარის გონიერებით და დადგრომილებით დაუმტკიცებს იმათ, რომ ბევრსა ცოტანი, უმრავლესობას უმცირესობა ხელიდამ უფლებას ვერ გამოგლეჯს. რაც უნდა იყოს საფრანგეთს ვერც შეაშინებენ, ვერც მოატყუებენ. რესპუბლიკის მოღვაწენი იქამდინ იქნებიან ხალხის უფლების მფარველად, ვიდრე ძალად არ განაშორებენ ხალხს, რომელიც მათზედ სრულიად დანდობილია. ჩვენ თქვენი წარმომადგენელნი ჩვენის მხრით ამას ვიტყვით, რომ დღეიდამ იწყობა პირ-და-პირი მიმოსვლა ჩვენ და თქვენ შორის. ორში ერთი უნდა ამოირჩიოთ: ან უკან დამხევი და შემთხვევაზედ დამოკიდებული პოლიტიკა, რომელმაც უცბათ შეარყია ყველა ის, რაც ამ უკანასკნელის ექვსის წლის განმავლობაში დიდის ღვაწლით მოგვიპოვებია, ან არა და დამჯდარი, მტკიცე მშვიდობის მოყვარე და წარმატებული პოლიტიკა, რომელმაც მოიპოვა კიდეც თქვენი სრული თანაგრძნობა.

„ძვირფასნო მამულის შვილნო, ეს განსაცდელი ხან გრძლივად თავს ვერ დაიჭერს· ექვსის თვის შემდეგ საფრანგეთი ხელმეორედ ამოიღებს ხმას“. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენ ისევ ადრინდელ გარდაწყვეტილებას ხელმეორედ დაამტკიცებთ. ახალს არჩევანში რესპუბლიკას უფრო მომეტებული კენჭი გამოუვა, იგი ეხლა უფრო განმტკიცებულ იქმნება ვიდრე სხვა დროს. ძველის მიმდევნი სამუდამოდ დამარცხდებიან და საფრანგეთი თავის საკუთარს თავზედ დანდობილი, თავის თავის მოიმედე მშვიდობიანად და ნუგეშით მიეგებება თავის მომავალს.“

ამ მანიფესტზედ 350-ზე მეტ დეპუტატს მოუწერია ხელი. სენატის რესპუბლიკელებმაც გამოსცეს მანიფესტი, სადაც მოხსენებულია, რომ იგინი ყოველ ღონისძიებას იხმარებენ იმ პოლიტიკის წინააღმდეგ. რომელიც კი საზოგადო მშვიდობიანობას რითიმე ხელს შეუშლის.

— ყველა რესპუბლიკის დასის დეპუტატებს უთხოვნიათ თვისთა მომხრე მოხელეთათვის, რომ თქვენ თვითონ თქვენის ნებით სამსახურიდგან ნუ გადადგებითო, ვიდრე ძალად არ გადაგაყენებენო.

—

**წვრილი ამბები.** ინგლისის მთავრობას შეუთვლია სხვა სახელმწიფოთათვის, რომ ყოველ ღონისძიებას ვისმარებთო რომ რაიმე დაბრკოლება არ მიეცესო თავისუფლად სიარულს იმ სახელმწიფოთა სავაჭრო და სამხედრო ხომალდებსა, რომელნიც ომში არ არიან გაბმულნი.

— ამბობენ, რომ ინგლისის ფლოტს ბრძანება მოსვლია შავ-ზღვაში შესვლისა. ეს ფლოტი კიდეც მისულა ათინაში. გარდა ამისა ერთი კორპუსი არტილერიით საბერძნეთისკენ წასულა.

ამით ინგლისს უნდა საბერძნეთს ხელ-ფეხი შეუკრას, რომ ომში მონაწილეობა არ მიიღოსო.

— სტამბოლში დიდი არეულობაა თურმე. სოფტები (სტამბოლის სტუდენტები) შეცვივნულან დეპუტატთა პალატში და უთხოვნიათ, რომ მუხტარ-ფაშა დააბრუნეთო. სამხედრო მინისტრი, რედიფ-ფაშა არ გვინდაო; მთავრობამ იმდენი მეცადინეობა უნდა გასწიოსო, რომ იმისთანა უბედურება, როგორც არტაანის საქმე, მეორედ აღარ მოხდესო. ხონთქარი დამალულა. აჯანყებულთა წინააღმდეგ ჯარი გამოუყვანიათ და ბევრნი დაუხოცნიათ.

— საბერძნეთი ძალიან აღელვებულია თურმე. მთავრობას ველარ შეუმაგრებია საზოგადოება, რომელსაც ოსმალეთთან უსათუოდ ომის ატეხა ჰსურს.

— ეგვიპტის მხედრობა ჰასან-ფაშის წინამძღოლობით სტამბოლისკენ წასულა.

---

*) კონსტიტუციის ძალით რესპუბლიკის პრეზიდენტს მხოლოდ სენატის თანხმობით შეუძლიან გააუქმოს დეპუტატთა პალატა. იმ აუცილებელის პირობით კი, რომ სამის თვის განმავლობაში ამორჩეულ უნდა იქმნას სხვა ახალი პალატა.

## „ორიოდე სიტყვა საქალაქო სასწავლებლებზედ"

(„ივერიის" კორრესპონდენცია)

კავკასიაში სწავლის საქმის გამგებელის განკარგულებით ადგილობრივ სახალხო სასწავლებელთა დირექტორისაგან ამას წინედ მოუვიდათ მოწერილობა საქალაქო სასწავლებლებს, რომ მათში მყოფთა მასწავლებელთა, როგორც პედაგოგიაში გამოცდილ პირთა, შეადგინონ საქმე (პროგრამმა) საქალაქო სასწავლებელთათვის. თითოეული საქალაქო სასწავლებელი, როცა შეადგენს ამ პროგრამმას, წარუდგენს ადგილობრივ დირექტორს, რომელიც თავის რიგზე წარადგენს ტფილისში კავკასიის სწავლის საქმის გამგებელის საბჭოში, სადაც განხილულ უნდა იქმნეს იგი საქმე.-ჯერ-ჯერობით საქალაქო სასწავლებელში მოქმედობს ის პროგრამმა, რომლის უმეტესი ნაწილი შედგენილია ტფილისის საოსტატო ინსტიტუტის მასწავლებელთაგან, რომელთ შორის არც ერთს არ ჰქონია ბედნიერება საქალაქო სასწავლებლის ნახვისა, რადგანაც ამ გვარი სასწავლებელი მაშინ არ არსებობდა კავკასიაში. მაშასადამე, ეს პროგრამმა იქმნა შედგენილ მყუდრო ოთახში მარტო თეორეთიულ ნიადაგზე. თუმცალა ზემოხსენებულ ინსტიტუტთან არსებობდა ორ კლასიანი დასაწყისი სასწავლებელი, რომელიც სხვაზედ უმალეს იქმნა გადაკეთებულ საქალაქო სასწავლებლად, სადაც ეხლა ინსტიტუტის უფროსის კლასების შეგირდები პედაგოგობისათვის ვარჯიშობენ. მაგრამ ეს სასწავლებელი, ჩემის ჰაზრით, ძლიერ ცოტად აძლევს მასწავლებლებს ნამდვილ პედაგოგიურ გამოცდილებას, განსაკუთრებით იმ ნაირ გამოცდილებას, რომელიც საჭიროა ამ გვარის საქმის შედგენისათვის. ამ სასწავლებელში ერთ განყოფილებაში და ერთ სკამზე ზის რუსიც, ქართველიც და სხვა გვარ ტომის ბავშვებიც, რომელთა სულიერი და ხორციელი ძალა სულ სხვა და სხვანაირ სფერაშია აღზრდილი. მიუხედველად ამ ბუნებითის გარჩევისა შეგირდებთა შორის, და წინააღმდეგ პედაგოგიის დედა-ჰაზრისა, პირველ განყოფილებაშივე აქ ყველას ერთ ნაირი წიგნი აქვს, ყველას ერთ საგანზედ უქადაგებენ, ყველას ერთს ენაზედ ასწავლიან,-ესე იგი ყველას ერთგვარ სულიერათ ამზადებენ. (ნუ თუ პედაგოგიაშიაც არსებობს ქიმიური ძალა, რომლის გამო სხვა და სხვა გვარ-ნაწილებისაგან კეთდება ერთი ისეთი სხეული, რომელიც არც ერთ წინანდელ შემადგენელ ნაწილებს არ ემგვანება.) გარდა ამისა, ამ სასწავლებელში შედიან შეგირდები მაზრის სასწავლებელიდან, სასულიერო სასწავლებელიდან, სემინარიიდან, გიმნაზიიდან, რეალურის სასწავლებელიდან, სამხედრო სასწავლებელიდან და სხვა. ამ ნაირ თითქო განგებ არეულ სასწავლებელს, როგორც უმაღლეს ხარისხად რთულ საგანს, არ შეუძლიან პედაგოგიის სავარჯიშოდ შეიქმნას. ამიტომ ესლანდელი საქმე სწავლისა ბევრად თუ ცოტად ნაკლულია და არ არის რიგიან საფუძველზედ დადგენილი. ამის გამო იქმნა ზემოხსენებული განკარგულება სწავლის საქმის შედგენის შესახებ. დიდად სასიამოვნო იქმნება, თუ საქალაქო სასწავლებელთ ოსტატნი რიგიანად აღასრულებენ ამ კეთილ მონდობილებასა. როგორც ამბობენ, ერთ საქალაქო სასწავლებლის (ოზურგეთისას) პედაგოგიურმა რჩევამ კიდევაც შეადგინა ეს საქმე. მაგრამ თავიდამ ბოლომდის რომ წაიკითხოთ იგი საქმე, თურმე ერთ სიტყვასაც ვერ იპოვით ქართულის ენის შესახებ, თითქო ამ სასწავლებელში ქართულის ენის ხსენებაც არ არისო. მართლადაც ასეა: კვირაში ორი გაკვეთილია *) დანიშნული, ისიც შუადღის პირველ საათიდან მეორე საათამდის. ოთხი საათის მეცადინეობის შემდეგ დაღალული, დაუძლურებული მოწაფე უფრო თავის სახლისკენ მიეშურება, ვიდრე მეხუთე, ესე იგი ბოლოინდელს გაკვეთილზედ, რომელიც ქართული ენისათვის არის დანიშნული. ეს კვირაში ორი გაკვეთილიც ისე უსულოდ და აძაგებით მიდის, რომ მოწაფეებს ეკარგებათ ხალისი არამც თუ ქართულის ენის გაკვეთილის შესწავლისა, არამედ ქართულის წიგნების კითხვისაც. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა კვირაში ორი გაკვეთილია დანიშნული, მაგრამ ძლიერ ხშირად ერთიც არ იქმნება ხოლმე. ქართულს ენას ან ისეთი ადგილი უნდა ეჭიროს ჩვენს სასწვლებლებში, როგორიც სხვა საგნებს (რუსულს ენას, არითმეთიკას და სხ.), ან სულ არ უნდა იყოს.

---

## თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსნი.

### I

უწყალო სენმან, ყოვლთ მაწყუენმან გვიკოდა გულნი,
გვყო ჭირთა მთმენად, მგლოვარენად ყოვლნი სულდგმულნი,
სუსტ-გვქმნა ვათაგან მთიებთაგან დაშორებულნი;
გარნა უფრ ამად ყოველყამად ვართ გულმოწყლულნი,
რომ ბანონოვანნი, მუნ მავანნი ჰყო დაბზარულნი.

ეჰა, მნათობთა, ტფილისს მყოფთა გულნი ლმებიან,
სავანთ მტევებნი, მათთვის მგებნი სოფელს ჰხდებიან!
ვარდნი უშლელნი, მიჯნურთ მწყველელნი უდროდ ზრებიან,

---

*) ორს კლასში, მაშ ერთს კლასში კვირაში ერთი გაკვეთილია ქართული ენისათვის.

მათზედ ბულბულნი ხელებულნი აღარ ჭკრჭებიან...
ამისთვის გულთა, დადაგულთა გვიხდების სულნი,
რომ ბანოვანნი, მუნ მავანნი ჭყო დაბზარულნი.

ჩვეულნი ლხინსა მიგვცნა ჭირსა უბედობამან,
მოგვაკლო შვება, გვმატა ვება შავ-სვეობამან,
მოგვიცვა ალმან, შეუბრალმან, გვალმო გრძნობამან,
გვიტევა ყოვლმა განსაცხრომმა კეთილდღობამან,
ბმაკვეთა სასო დაუფასო, ვშთომილვართ კრულნი,
რომ ბანოვანნი, მუნ მავანნი ჭყო დაბზარულნი.

რომ მწირთა თვალთა, დამაშვრალთა ეცემის მილი,
წარმოუდგების კეთილ-დღების შვება განვლილი,
თავსა ახარებს, მათთან არებს გული ბრმობილი
არ უწყის, რომე თვისთან მჯდომე არს ოდენ ჩრდილი.
გარნა განღვიძით, ოხვრათ აღმვრით ეხლვინ წყლულნი,
რომ ბანოვანნი, მუნ მავანნი ჭყო დაბზარულნი.

ნეტა ხილვა რომ უკვ-მეღირსოს ელისეს ველთა!.,
მუნ ვიხარებდე, ვიქარვებდე განვლილთ ჭირთ-მწველთა,
მდელოთა სუნსა, მოსასურნსა ვჭყნოსვიდე მრთელთა,
ვჭჴედვიდე ყოვლთა განხარებულთ კეთილ-მდღეველთა!...
მე აწ მტირალმან მუნით ვჭპოვო ნუგეშნი სრულნი,
რომ ბანოვანნი, მუნ მავალნნი ჭყო დაბზარულნი....

## II

ანაზდად ხილვამან მე შენმან, მზეო,
ასე მძლია და წარმსტაცა ღლახ გული!...
ტანო ალვავ, წვლილო სინაზით მრხეო,
სიგრილესა შემივრდომე დაგული!

უსერავს ღლახ-გული შენთ ისართ პირსა,
აწ გენუკვი წამლად მას მკირ-სალირსა....
გთხოვ, გულს ვაბგერ მწარის ოხვრის საყვირსა,
სიგრილესა შემივრდომე დაგული!

ვაიმე თუ არ მისმინო ლმობითა,
სევდის ჭური მით მრხობლ შექმნა თმობითა!...
შემიწყალე, შენ მიერ ვარ თრობითა,
სიგრილესა შემივრდომე დაგული.

---

# ოსმალოს საქართველო

—

მას შემდეგ რაკი ცოტა ოდნად აღვწერეთ ადგილ-მდებარეობა და ისტორიული ვითარება ოსმალოს საქართველოსი *) სასურველია ვიცოდეთ მისი ახლანდელი მმართველობითი წყობილებაცა.

მთელი ოსმალოს საქართველო არის გუბერნია, ანუ ოსმალურათ სანჯახი. ამ სანჯახს ოსმალები ლაზისტანის სანჯახს ეძახიან. ოსმალეთის სახელმწიფო წყობილებაში რამდენიმე გუბერნია, ანუ სანჯახი შეერთებულია ვალიეთად და ემორჩილება ვალის, ანუ გენერალ-გუბერნატორს, სანჯახის უფროსი არის მუთესარიფი, ანუ როგორც ჩვენში გუბერნატორი.

ლაზისტანის სანჯახი ეკუთვნოდა ადრე ახალციხის ვალის, ახალციხის ფაშას. როდესაც 1829 წელს რუსებმა ოსმალეთს ახალციხე ჩამოართვეს, მას შემდეგ ოსმალოს საქართველო ტრაპიზონის ვალის მიუწერეს. თუმცა ლაზისტანის სანჯახი ტრაპიზონის ვალიეთს ეკუთვნის, მაგრამ იმას არ ექვემდებარება: ყოველს საქმეებში პირდაპირ სტამბოლთანა აქვს საქმე. ლაზისტანის სანჯახის მუთესარიფს (გუბერნატორს) ფაშის ხარისხი აქვს და ბინა ამისი ბათუმია. ამ გვარათ, მოკლეთ რომა ვსთქვათ, ეხლანდელი ოსმალოს საქართველოს მმართველი ბათუმის გუბერნატორია (მუთესარიფია). იმ გვარათვე როგორც ეხლა ჩვენში გუბერნია უეზდებათ იყოფა, ლაზისტანის სანჯახი იყოფება ყაზათ, უეზდის უფროსის ანუ კაიმამკაის მმართველობის ქვეშე. ოსმალოს საქართველოს, სანჯახს ამ ჟამათ ექვსი ყაზა აქვს. ყოველი ყაზა კიდევ ნაწილებათ ნახრეთ იყოფა როგორც ადრე ჩვენში უეზდი უჩასტკათ იყოფებოდა. ნახიეს მმართველი არის მუდირი. მთელ ოსმალოს საქართველოს ექვს ყაზაში არის თერთმეტი სამუდირო, სახელდობ: 1) ბათუმისა, 2) ჩურუქ-სუს (ესე იგი ქობულეთისა), 3) ზედა-აჭარასი, 4) ქვედა-აჭარასი, 5) მაჭახელის, 6) ლივანას, 7) გუნიისა, 8) ხოფისა, 9) არხავესი, 10) ხემშინისა და 11) ათინასი.—გუნიეს, ხოფას და არხავეს ნახიები არიან ხოფას ყაზა; ხემშინი და ათინა ათინის ყაზა, და ეს ორი ყაზა ანუ უეზდი არის ჭანეთი, ისე როგორც თელავისა და სიღნაღის უეზდი კახეთია. ამ გვარათვე ზედა და ქვედა აჭარა არის ერთი უეზდი (ყაზა), ბათუმი და ქობულეთი (ჩურუქ-სუ) ერთი უეზდია; მაჭახელი და ლივანაც ერთ უეზდათ არის და სხვანი ამ გვარათ.

---

*) „ივერია“ №№ 8 და 9.

ხვანთქრის მმართველობამ დიდი წინააღმდეგობა და ბრძოლა გამოიარა სანამ ოსმალოს საქართველოში თავის წესებს შემოიტანდა. წარსული საუკუნის ბოლოს ათაბაგების უკანასკნელი ჩამომავლის ახალციხის შარიფ-ფაშის დროს ახალციხეში ძალიან არეულობა იყო და ამ დროს გაძლიერდა აჭარის ბეგის გვარი ხიმშიაშვილებისა, ამ გვარი-საგანმა ახმეთ-ბეგმა შარიფ-ფაშა ახალციხიდამ განსდევნა და ამგვარათ ძველ ათაბაგების გვარის მაგიერათ დაჯდა ხიმშიაშვილების გვარის კაცი. ამან შემოიტანა მთელ ოსმალოს საქართველოში ოსმალოს წესები და დაამკვიდრა ოსმალოს მთავრობა. დიდათ ებრძოდნენ ყველგან მეტადრე ჭანები, რომელნიც თავის ნებით მოქმედებდნენ და ხვანთქარს თითქმის არ ემორჩილებოდნენ. ახმეთ-ბეგმა აჭარლები ჭანეთში მიიყვანა 1819 წელს და სულ დასწვა-დადაგა. ამ ომის დროს ჭანის დედაკაცებიც კი ომობდნენო. დაიმორჩილა ჭანებიცა და ამ დროდამ იწყება ოსმალოს გაძლიერება მთელ ოსმალოს საქართველოში.

როგორც ხიმშიაშვილებმა შემწეობა მისცეს ხვანთქრის მთავრობასა, ამ გვარათვე სხვა თავად-აზნაურებმა აღმოუჩინეს ოსმალოს მთავრობას თავისი შრომა და ამ ჟამთაც მმართებლობის მოხელენი (ჩინოვნიკები) სულ ადგილობრივი ბეგები (თავად-აზნაურები) არიან: გამოჩენილი გვარები არიან ყველაზე უპირველესნი მთელ სანჯაკში ხიმშიაშვილები და ამათგან შარიფ-ბეგი. მერმე თავდგირიძეები, ესენი აჭარაში და ქობულეთში, ჯაყელები (ძველი ათაბაგის შთამომავალნი), შავშეთში და სხვანი.

მუთესარიფი, კაიმაკამი და მუდირები, როგორცა ვთქვით, ამ გვარებისანი ინიშნებიან მმართებლობისაგან და მმართველობა ამათ ეკუთვნით. სასამართლო ადგილები უჭირავთ მოსამართლეებს, რომელთაც ხალხი არჩევს, როგორც ჩვენში სოფლის საზოგადოებანი არჩევენ. ეს სასამართლოები შეიკრიფება მეჯლისად და ამათში მმართველს დიდი ხმა აქვს, ასე რომ ბევრჯელ ბეგები თითონვე ასამართლებენ საქმესა. ამას ჩვენ ვამბობთ რაც დღევანდლამდეა და ამას შემდეგ რადგანაც ოსმალოს სახელმწიფოში კონსტიტუცია მიეცა ხალხსა, რა საკვირველია, სამართლისაც. სხვა წესები უნდა შემოვიდეს.

როგორც ოსმალოს ყველა მხარეს ოსმალოს საქართველოშიაც ყველა საქმე ოსმალოს სახელმწიფო კანონითა რიგდება, მაგრამ აქამომდე ძველ ქართულ ადათს და ჩვეულებას საქმეების მართვაში დიდი ძალა აქვს, ასე რომ ყველაფერი ძველის ძველის ქართველურის ადათითა რიგდება, ისეთით რომელსაც ზოგს ვახტანგის კანონებში ვხედავთ და ზოგი არსად არცკი მოიძებნება და ამით შესასწავლებლად ფრიად შესანიშნავი არის.

აქამომდე ხვანთქრის მმართველობა საქართველოს ნაწილს ისე უყურებდა, როგორც ხარჯის მძლეველ ადგილს,—ოღომცკი ხარჯი მამეციო და სხვაში კი თავი ქვასა ჰკარიო. იქაური მოხელენი ისე უყურებენ თავის თანამდებობას, რომ თითქოს იმათი საქმე მარტო ხარჯის კრეფა იყოს. ხალხიც ამ გვარათ უყურებს მოხელეებსა და მთავრობის კაცსა, რომ ხვანთქრისათვის ხარჯის მკრეფელნი არიანო და ამ მოკრეფილში თითონაც წილს იდებენო. ამას ის გარემოება მოსდევს, რომ არავინ არა თხოულობს და არა ზრუნავს არც წესიერ და მართალ მსაჯულებაზე, არც გზებზე, არც სწავლაზე და არც ქურდობის მოსპობაზე. ეს ნამდვილი კუთვნილი საქმეები, რომელიცმთავრობის კაცების დიდი მოვალეობა უნდა იყოს, არავისთვის თითქო საგრძნობელი არ იყოს და არავინ არა სჩივის ამის უქონლობას და ხმას არ იღებს. ხალხისა მარტო ერთი სურვილი ის არის, რომ ხვანთქარმა ხარჯი არ მოგვიმატოსო.

მაგრამ ეს უბრალო მოთხოვნილება ხალხისაც არა სრულდება და ხარჯი თან და თან მატულობს. პირველათ თითქმის საცა ხარჯი არ იყო და მარტო ვალათ ედვათ ომის დროს ჯარში გამოსულიყვნენ (მაგალითად აჭარაში) ახლა დიდი ხარჯი აძევთ. ამ ხარჯის მომატებას კი ის მოსდევს, რომ ხალხის უკმაყოფილებაც თან და თან მატულობს და ბოლოს ვინ იცის ხვანთქრის მმართველობამ რა ხეირი ნახოს.

აი რა და რა ხარჯია დადებული:

1) ტ ა ხ შ ი რ ი (მამულის ხარჯი): ყოველმა კომლმა სახელმწიფოთ მიწის მოსავლის მეათედი უნდა შეიტანოს. აჭარაში ყოველ სოფელში ან თემში ამ ხარჯის მომკრეფს (მუხტარს) ირჩევენ, სხვაგან კი იჯარით მეიჯარადრეს აძლევდნენ. ამათ თვალ-ყური უნდა ადევნონ და ხარჯის ზომა დასდვან. ამ გვარათ შეკრეფილი მოსავალი ფულათ უნდა აქციონ და ყაზას (უეზდის) ხაზინაში შეიტანონ.

2) ს ა ლ ა ნ ი: ეს ხარჯი გუბერნიის, უეზდის და უჩასტკის მოხელეების ჯამაგირათ მიდის და ამის ზომას მთავრობა თვით ნიშნავს და მერე კომლ-კომლათა ჰყოფენ და ვისაც რამდენი ერგება იმდენი შეაქვთ.

3) რ უ ს უ მ ი: ცხვარზე და თხაზე სულზე ხუთი შაური.

4) რ უ ს უ მ ი: მწველელ საქონელზე სულზე გირვანქა ნახევარი ერბო.

5) გ ე რ ბ ი ს ქაღალდისა მამულის შესყიდვისა.

6) თ ა მ ბ ა ქ ო ს თესვის ბაჟი.

7) გ ზ ი რ-ი ა ს ა ყ ლ ე ბ ი ს (ზაფტიების) გზის ხარჯი. ეს ფული ხაზინაში შედის.

ამ ხარჯს მოიჯარადრე ჰკრებს და მუდირს (უჩასტკის უფროსს) აძლევს. მუდირი თავის კანცელარიის

ხარჯს გამოდის და დანარჩენს ბათუმის გუბერნატორთანა გზავნის.

ეს ხარჯი რიცხვთა შუა ანგარიშით კომლზე თუმანზე მეტი მოდის. ეს ხარჯი კარგი მძიმე ხარჯია, მაგრამ მაინც ისე საგრძნობელი არ იქნებოდა, რომ იჯარით არ ეძლეოდეს, ამ ხარჯს მოიჯარადრეები ჰკრეფენ და ერთი თუმნის მაგიერათ ორსა და სამსა იღებენ თავის ჯიბისათვის. აქამდინ მხოლოდ აჭარაში ვერ გაუბედნია ხვანთქრის მმართებლობასა, რომ მეიჯარადრეებს მისცეს ხარჯის კრეფის ნება და ამიტომ აქ ხალხს თვისგან ამორჩეული ხარჯის-მკრეფელი ჰყავს. შავშეთში, ლივანაში, ქობულეთში და ჭანეთში კი ხარჯს იჯარადრები ჰკრეფენ.

ამ ზემოხსენებულ ხარჯს გარდა ხალხს კიდევ სხვა ხარჯი და ბეგარა აძევს. მაგალითად ლესნიჩების (ტყის მოხელესი) ხარჯი და ყოველ მირ ხეხილის ხარჯია, რომელნიც მხოლოდ აჭარაში არ არის და სხვაგან კი ყოველგან განწესებულია. გზის კეთებაზე უსასყიდლოდ გამოსვლა ყოველ კაცს ვალად აძევს. სხვა და სხვა წვრილ ხარჯებს გარდა ავაზაკების დასაჭერად ყოველ ნახიეში კანონით დაწესებულია რვა კაცი ჟანდარმი, რომელსაც ჯამაგირი არ ეძლევა. ესენი დაიარებიან სოფლებში ავაზაკების საძებნელად; ჩადგებიან ერთ სოფელში მუქთად სჭამენ, სმენ და ახლა მეორეში მიდიან. ამ გვარათ სოფლები დაწიოკებული ჰყავთ. ამ კაცების უფროსები (კირ-სარდარები) თავის ამალით რადგანაც არაფერს არ იღებენ, ემსგავსებიან ნამდვილ ავაზაკების თარეშებს და ხალხს ცხადათ და მოურიდებლათ სცარცვენ. კირ-სარდრის თანამდებობა ფულით იყიდება და ვინც მეტს ქრთამს მისცემს ბათუმის გუბერნატორსა, იმასა ნიშნავს.

მაგრამ მარტო კირ-სარდრები კი არა, სხვა თანამდებობაც ფულით და ქრთამით იყიდება, გინდ კაიმაკამის ადგილი იყოს, გინდ მუდირისა. რა კი ახალი გუბერნატორი (მუთესარიფი) დაჯდება, მაშინვე ძველებსა სცვლის და მეტის ქრთამის მძლეველ მოხელეებსა ნიშნავს.

ამგვარათ ყოველი ხარჯი, რასაკვირველია, ხალხს აწვება და თან და თან მატულობს.

საყოველთაო ხარჯათ უნდა ჩავთვალოთ აგრეთვე სალდათის და მილიციის გაყვანა, რომელიც ვაის გაგლახით სრულდება და ხალხი მომდურავია. სალდათის გაყვანაზე რამდენჯერმე აჯანყება მოხდა ოსმალოს საქართველოში და ხარჯის მომატებაზე ხომ, მაგალითად, ამ ოთხი ხუთი წლის წინათ თოფ-იარაღში ჩაჯდა მთელი ქობულეთი და სანამ მმართებლობამ არ გამოუცხადა რომ ისევ ძველი ხარჯი დარჩებაო, არ დამშვიდდა.

თუმცა ოსმალოს საქართველოდამ შემოსავალი კარგი აქვს ხონთქრის მმართველობასა, მაგრამ ხალხის სასარგებლოდ და მოსახმარისად არ ისარჯება მაგალითად ზედა აჭარიდამ წელიწადში შემოსავალი არის თითქმის ათას ხუთასი თუმანი. დანახარჯი სულ ორას თუმნამდინ არცკია და ესეც მარტო მოხელეებზე იხარჯება. არც გზის კეთებაზე, არც შკოლების გახსნაზე, არც მართლმსაჯულებაზე და სხვა მრავალგვარ ხალხის საჭიროებაზე მმართებლობა არაფერს არა ხარჯავს და ათას სამასი თუმანი თითქმის სულ სტამბოლში მიაქვს.

ამ მდგომარეობაშია ოსმალოს საქართველო ამ ჟამათ და ამისთანა მმართველობაა იქა. ყოველ სოფელში და ქალაქში მართალია მეჩითებთან და ქრისტიანთა ეკკლესიებთან შკოლებიც არის და მოსამართლე-მსაჯულებიც არიან, მეჩითები და ეკლესიებიც შენდება, მაგრამ იმათს ხარჯს თითონ ხალხი ეწევა და მთავრობა არ ერევა. ამას კიდევ გავიმეორებთ რომ აქამდინ ასეა და ამას შემდეგ კონსტიტუცია თუ დამკვიდრდა ოსმალეთში, იქნება სხვა წესები შემოვიდეს და უკეთა რიგში ჩავარდეს გარნა მომავალი უწყის მხოლოდ ღმერთმა.

---

## ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲜᲐᲐᲛᲑᲝᲑᲘ

### V.

(სცენისათვის)

....... ამ ჩვენი მამასახლისისთანა უსამართლო და კერპი კაცი მგონია დუნიაზედაც არ იპოვებოდეს, გამჩენის მადლმა!....ლამის თავი დასახჩობათ გამიხადოს....ეხლა ერთი საბეგრო ურემი შამოუწერია ჩემთვის, „ჩარექის“ კაცი ხარო....რის ჩარექის კაცი ვარ?...ერთი ტლუ ბიჭი ავყუდებულვარ... ეხლა მე რომ ბეგარაზედ წავიდე ურმითა, ან ვენახი ვილანამ გააკეთოს, ან ვინა ხნას, ან ხემწიფეს რილათი ვემსახურო, ან ცოლ-შვილი რით ვარჩინო?....მე ვუთხარი: მამასახლისო, მაგას ნუ ინებებ მეთქი, ეს მაინც დამაცალე, რომ ალო გამოვიყვანო მეთქი....

შენც არ მომიკვდე!.... შამომიტია: „წეეთრიე, თორემ ციმბირში გიტუსამ თავსაო“!...საციმბირო რა დავაშავე?....მერე მოვახსენე: მამასახლისო, „ქუდი დადე და სამართალი ისე გასჭერ“ მეთქი....„შე ოჯახ დაქცეულო, მაშ ქვრივებს ხომ ვერ გავრეკამო“....აი ოჯახი დაექცეს იმას!.....შროშანაანთ საბედა, თუ ქვრივია, ოთხ-ოთხი უღელი ხარ-კამბეჩი არ უბია გუთანში და ოროლი ტროყი იმერელი არ გადაჰფაფრებიან ზედა და ზვრებს არ უკეთებენ... მსუქანმა დედლებმა იცის, და!...შხამათ ამოადინოს იმას ქრისტე ღმერთმა!....ჩარექის კაცი ხარო!...მაშ ლირლიტაანთ თედუა რატო არ გაგზავნა?...ისაც

ჩარექის კაცი არ არის?....ან, კიდევ, ცერაანთ ტეტია?....ის უფრო ჩემზედ შეძლებული არ არის, შეილოს?!...მაგრამ, ნათქომია: „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“!...გადააფარა განა, იმათ, თავის დურა ტყავი?...ვაი.....ი.....ი, დედი ჩემი ღმერთსა?.... რა ვქნა, სული როგორ წავიწყმინდო, თორემ მე ვიცოდი რასაც ჩავადენდი....ეს ალოც არ გამამაყვაინა....რა ვქნა, უჩივლო, რა გამოვა, თუ არა დავილუპები, ბეჩავი!....

### ახალ-გაზდა გლეხის ნაამბობი

### VI.

(სცენისათვის)

.....ოჰ, დაილალე! ი დასაქცევი მკითხავიც ვერ დავახელე სახლში....აღარ ვიცი რა ვქნა....ნათქომი კია რომ „ოხერ ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო,“ მაგრამ ჩემი სახლი რაღამ გაახრა?.. სამ-სამი ვაჟი კაცი ვტრიალებთ ფეხზედ და ამოდენა ჯალაბობა კიდენ სხვა არის....მაგრამ, ე ქაჯები და კუდიანები რომ შამოგვეჩვივნენ, ამისი ფიქრი კი ძალიან მილონებს.. .ეს ერთი თვეა აღარა მოგვისვენეს: ხან კენჭებს ისვრიან ჩვენ დერეფანში, ხან უსტვენენ....აი, დასწყევლოთ სამას სამოცდა ხუთმა წმინდა გიორგიმ!....

წუხელ კიდენ ერთი ალიაქოთი აგვიყენეს სახლში....ის იყო ვახშამი გავათავეთ თუ არა და შაიქნა რაღაც ფაჩი-ფუჩი ამ ჩვენი ბოსტანისკენა... ძაღლებიც სულ ერთიან ზედ დაედნენ ი ბოსტნის ღობეს და შექმნეს საშინელი ყეფა....ვიფიქრე მგელი ხომ არ მოგვივარდა მეთქი....ი ბოსტანში ერთი თოხლი რამ მებაა....წამოვავლე მუგუზალს ხელი და მივაშურე; ტეტიაც თან გამომყვა....გადავ-ჭერ ბოსტანში თუ არა და ერთი ბრაგა-ბრუგით რაღაცა კი გარბის... ყური დაუგდე, ღობეს ლაწი-ლუწი აადინა და გადაფრინდა ღობეს გაღალმა. ..გავტრუნე სული—ფშვინვა შამომესმა; მივანათე მუგუზალი, დავხედე, ჩემი რძალი კი გდია, გადაშხლართული, კვალში....აი გამიწყრა ღმერთი!....არიქა წყალი მეთქი!...აბა მანამ წყალი მოიტანეს, მანამ მოვაბრუნეთ, გდია ე დედაკაცი და ასეთი ფერი კი აძევს როგორც ყვითელი ბაია!....გამჩენის მადლმა!.. ავწიეთ, შინ შემოვიტანეთ და დღევანდლამდის გონზედ ველარ მოვიყვანეთ ...დღეს ძლივს ენა ამოვადგმევინეთ და რო ჩავკითხეთ: იქ რას აკეთებდიო, ან ვინ იყო ისე მწარეთ რო გარბოდაო, ასე გვითხრა : „მეც ვიციო, სტაფილოსა ვმარგლავდიო, ჩამთვლიმაო და ამ დროს მაჯლაჯუნა დამაწვა თავზედაო!....ის იყო თქვენც მოხვედითო, მე გულს შემომეყარაო და აღარა მახსოვს რაო“.... დასწყევლოს წმინდა გიორგიმ!....ყველაფერი მონავალა კაცის თავს, მაგრამ, ამას კი ვერ მივხდი, ან რა დროს სტაფილოს მარგვლა იყო და ან მღვიძარე ადამიანს მაჯლაჯუნა როგორ დააწვა თავზედ. აბა მე კუდიანი სად მენახება და ცხონებული მამა ჩემიკი იტყოდა ხოლმე „მე მინახამსო...ბანლიანიაო“...ჩემმა რძალმაც ისე თქვა: „ბანჯგვლიანი იყოვო“....

ეხლა ამაზე ვივავ მკითხავთან და ვერა ვნახე.

წავიდე ისევ ლვდელი მოვიყვანო, სახლ-კარი გავანათვლინო, თორემ ამაღამ ბალღები დაგვეხოცებიან შიშით.—

რაფ. ერისთავი.

---

### ჩვენის ისტორიისთვის მასალა.

(შემდეგი.)

დროსა ამას განურისხდა დადიანი ლეონ შარვაშიძეს ბეჟანს და შეიპყრა და პატიმარ ჰყო ციხესა შინა შაქვიჯისასა, და თხოვითა თავადის დიმიტრის ზახარიჩის ორბელიანისათა განუტევა იგი, ხოლო უგული სამურძაყანო აფხაზეთი მიათვალა და მიაბარა საუფროსოდ და საგამგებლოდ ძმესა თვისსა მანუჩარ სოლომონის ძეს შარვაშიძესა, არა თუ სიძობისათვის პატივისცა ესრეთ, არამედ ვინათგან იყო იგი კაცი სასულთვგანი და საქმესა შინა მარჯვე.

უპირატეს მმართებელი საქართველოისა ტორმასოვი სხვათა და სხვათა კეთილ-წინა დადებითა უჩვენებდა მეფესა იმერეთისასა, რათა მორჩილ ექმნას რუსეთის იმპერატორსა და ერთგულებდეს მას, თორემ შეინანებ მოქმედებასა შენსაო. გარნა არა რომლითამე კეთილ-ჩვენებითა არა იწადა დამორჩილება ამისი.

ამათ ჟამთა შორის მოუვიდა ბრძანება ტორმასოვისა თავადს ორბელიანს, რათა მოადგეს ციხესა ფოთისასა. მაშინ მყოფმან ყულევს ორბელიანმა შემოჰკრიბა მხედრობა იმერეთსა და სამეგრელოსა შინა მყოფი მხედრობა დადიანისა, და წარვიდა თვით და მასთანა მთავარი ლეონ დადიანი და დაუბანაკეთ მახლობლად ფოთისა, და იყო ციხესა მას შინა ბათომის ბეგი ქუჩუკბეგ შარვაშიძე და ჰყვანდა მეციხოვნედ ექვსასი კაცი ოსმალისა და იყო მომზადებულ მას შინა. დილა რა გათენ-

---

*) „ივერია“ № 5.

და, მიბრძანეს მე მთავარმანცა ჩვენმან და ღენერალმანცა, რათა ავიღო ქალაქი ფოთისა. წარვედი სამეგრელოს რამოდენითამე მხედრობითა და ჩემთანა შარვაშიძე მანუჩარ და შევედით რა ქალაქად შევექმნა ჩხუბი სასტიკი, რომელ ოსმალთ განემზადებინათ სახლნი და ქუჩანი. გარნა შემდგომად ბრძოლისა განვსდევნეთ იგინი და შევყარნეთ ციხესა შინა, და ჩვენ დავიჭირით ქალაქი და მივუტანეთ საფარი მახლობლად ციხის გარისა, და დავსდექით. მაშინ მოვახსენეთ რა მთავარსა ჩვენსა და ღენერალს, მოვიდნენ სრულის მხედრობითა და შემოვზღუდეთ ირგვლივ ციხე. მთავარი და ღენერალი საკმაოთა მხედრობითა დასდგენ ზემოთ ციხისა და შემოზღუდეს, მარწმუნეს მე სრული სამეგრელოს მხედრობა და როტა ერთი რუსთა მხედრობა თვისის არტილერიითა და დავსდევ უკანით ციხისა და შემოვზღუდე ბოლოზიდამ ვიდრე ციხეს გარემომდე და დავსდეგით ესრეთ.

მაშინ ეზრახა მეფე სერესკალსა შერიფ ფაშასა, რათა მოვიდეს მხედრობითა ოსმალთათა და აქით თვით მეფე შთავიდეს ფოთს და იქით აქათ მოდგომილთა დაამხონ დადიანიცა და რუსთა მხედრობაცა. მაშინ შეიკრიბა სპანი ოსმალთანი სერესკელმა შერიფ-ფაშამ და მოვიდა ბათომს და დასდგა მუნ; წარმოავლინა ცხრა ათასი კაცი და მხედართ მძღვანად ტუსჩი ოღლი. წარმოვიდნენ და მისცა გზა ზღვით და ხმელით გურიელმან მამიამ, ვინათგან ჟამსა მას ერთგულებდა გურიელი მამია იმერეთისა მეფესა სოლომონს, ამისთვის რომელ მარიამ დედოფალმან მეუღლემან მეფისამან, დადიანის ასულმან მისცა დედით ბიძა შვილი თვისი გიორგი წულუკიძის ასული მამიას ცოლად, და ესე ვითარითა მოიდებულებითა ერთგულებდა მას ჟამსა მეფესა. მოვიდნენ ოსმალნი და დაებანაკენ გრიგოლეთისა და მალთაყვას საშუალ. მაშინ მიბძანეს მე და მომაცალეს უკანით ციხისა, წარიყვანეს და მალთაყვას საპირდაპიროთ დამაყენეს სერასკლისა; და მომცეს ერთი როტა რუსთა და ორი ზარბაზანი და ჩემნი საკუთარნი ყმანი და ჩემთანა დავით გურიელის მე ოცდა ათითა თვისის ყმითა, რომელიც იყო გარდმოვარდნილი თვისის სამკვიდროსაგან და იყო მთხოვნელად რუსთა თანა. და დავსდექ ამა მცირითა მხედრობითა მეპირდაპირედ სერესკლისა, ვინადგან მხედრობა მცირე იყო რუსთა და სამეგრელოისაცა ჭაერის სნეულებისა გამო.

შემდგომად სამისა დღისა მოვიდნენ, მათაყვის გაღმით გააკეთეს დიდი საფარი, მოიტანეს ზარბაზანი და დავიწყეთ სასტიკი ბრძოლა, რომელ თოფთა და ზარბაზანთა ხმა ვეღარა გაირჩეოდა სიმრავლისა გამო; და ესრეთ დაუცადებელად ვიბრძოლეთ თორმეტი დღე და ღამე, და რა ვსცანით, რომელ არ ძალ-უცს არც ამათ აქეთ ძალით გამოსვლა და არცა ჩვენ, და სხვა ღონისძიება არა რაი არს, ამისთვის ვიწყეთ საუბარი გურიელისადმი, რომელ ქმნას ერთგულება ხელმწიფე იმპერატორისად და უკანით დაესხას ოსმალთ მხედრობასა. ამისთვის იწყო კნიაზ ორბელიანმა არხიერის ჯუმათლისადმი საუბარი არხიმანდრიტის დოსითეოსის პირით, რათა შეასმინოს გურიელსა, ხოლო მე ვასტანგ როსტომის ძის ერისთავთა თანა, რომელი იყო ცოლის ძმა ჩემი და მას ჟამსა პირველობდა სრულსა გურიასა ზედა. და ესე ვითარის მოქმედებით გარდმოვიბირეთ გურიელი მამია და შეუდგა თხოვნილსა ჩვენსა, უბრძანა ვასტანგ როსტომის ძესა ერისთავსა შეიკრიბნა სპანი გურულთანი და დაესხა გრიგოლეთს დაბანაკებულთა ოსმალთა და შეიქმნა სასტიკი ბრძოლა, სადა მამაცად ბრძოდენ გურულნი. აქათ ჩვენ გავედით სპითა მეგრელთათა და რამოდენთა მხედრობათა რუსთათა, მიუხედით აქათგან ჩვენ, ხოლო მუნით გურულნი და გავსწყვიდეთ, მრავალი ცოცხალი დავიჭირეთ და რომელნი გადარჩენ, გაიქცენ ზღვით ჭურჭლებით და ჩვენ ალაფითა სავსენი გვალად ფოთს მოვედით.

მხილველმან ამისმან გუჩუ ბეგმან, მყოფმან ციხესა შინა და უღონო ქმნილმან იწყო საუბარი და მოგვცა ციხე, და იგი და მხლენი მისნი მეციხოვანენი გაუშვით მშვიდობით. და რა მოვადექით ციხესა მუნითგან წყებული მესამეს თვეს აღვიღეთ ციხე და შევედით მას შინა დიდითა ცერემონიითა და მხიარულებითა; დაუტევეთ მას შინა მცველი მხედრობა და ჩვენ წარმოვედით ესრეთ გამარჯვებულნი სახლად ჩვენსა. ხოლო მეფემან იმერეთისამან ვერ სრულ ჰყო განზრახვა თვისი და დაშთა ესრეთ.

შემდომად რამოდენისამე ჟამისა წარმგზავნა მე კნიაზმა ორბელიანმა მამია გურიელისადმი და მოსცა გურიელმა ამად თავი როსიისა ხელმწიფე იმპერატორსა და წარმოუგზავნა ტრაქტატნი, თუ ვითარ ჯერ არს ყმობასა შინა შესვლა, რომელი თვით მე აღვსწერე. და მიიღო ხელმწიფე იმპერატორმა საფარველსა და ყმობასა შინა თვისსა და მოუბოძა ჩინი ღენერალ მაიორობისა, ორდენი წმინდის ანნის პირველისა კლასისა და დროშა სამთავრო და გრამოტა და იქმნა ერდგულ ყმად ვიდრე დღემდე. ხოლო ფოთისა აღებისა და სერესკლის დამარცხებისათვის ჯილდოთ ჩვენისა შრომისა ხელმწიფე იმპერატორმა აღგვავსო წყალობითა, მთავარი ჩვენი და ჩვენ ყოველნივე და ეგრეთვე ღენერალი თავადი ორბელიანი და მხლენი მისნი მხედრობანი.—შემდგომად ამისა საქართველოს უპირატეს მმართებელმან ღენერალმან ტორმასოვმან მოუწოდა თავადს ორბელიანს საქართველოდვე და იმერეთს წარმოგზავნა ღენერალ მაიორი ფედორ ფილიპოვიჩ სიმონოვიჩ. ხოლო რა სცნეს რუსთა ჭეშმარიტებით, რომელ მეფე იმერეთისა არა მოდრკების ერდგულებასა ზედა ხელმწიფე იმპერატორისასა და არა განაგდებს ერთგულებასა პორტის ათამანისასა და არა დაასცხრობს წინააღმდეგსა საქციელსა, ამისათვის უბრძანეს მთავარსა

სამეგრელოისასა ლეონს გრიგორის ძეს, რათა შეერთდეს იმერეთის მართებელის სვიმონოვიჩთან და განდევნონ მეფე იმერეთით და დაიპყრონ იმერეთი ხელმწიფე იმპერატორმა. შეიკრიბა სპანი მეგრელთანი ლეონ დადიანმა გავედით ცხენის წყალსა და დავებანაკეთ ჯიხაიშს. გავიდა იქ ღენარალ სვიმონოვიჩი მხედრობითა და შევერთდით. ხოლო მეფე იდგა იმერელ სპითა ვარდციხეს. ხოლო ხელმწიფე იმპერატორს ერთგულებს იმერელთა ამათ, ყოვლად სამღდელო გენათელ მიტროპოლიტმა ქუთათელმა, თავადმა სახლთ-უხუცესმა ზურაბ ქაიხოსროს ძემ წერეთელმა, თავადმა ოტიამ და სეხნიამ წულუკიძეებმა და ესენი იყვნენ ჩვენთანა და სხვათა იმერელთ მოყვარებელი იდგა მეფე ვარციხეს. აღვმხედრდით და წარველთ მეფეზედ, რათა მოვადგეთ გარს, და რა ცნა, მეფემან მისვლა ჩვენი, ვერღა იკადრა პირისპირობა, წარვიდა ახალ-ციხის მთის კალთასა შინა ხანს და ჩვენ მივედით ვარდ-ციხეს. ვსცანით რა წასვლა მეფისა ხანს, შეუდექით უკან მისა, და მივედით ბაღდადს და დავსდექით. მცნობი ამისა მეფე იმერეთისა ვერღასად წარვიდა და მოვიდა სვიმონოვისა და ჩვენთანა; და გამოუცხადა სვიმონოვმან, რათა წარვიდეს საქართველოს მთავარმართებელის ტორმასოვისა თანა. დამორჩილდა მეფე, და შემდგომად ერთის კვირისა წარვიდა მეფე რამოდენითა თვისითა თავად აზნაურითა და მივიდა ტფილისს ტორმასოვისა თანა. მან გამოუცხადა, რათა წარვიდეს რუსეთად და დააყენეს ყარაულნი, რათა არა ივლტოდეს სადამე და რუსთა დაიპყრეს იმერეთი ვითარცა საქართველო წელს ქრისტესით, 1810.

და იყო მეფე ტფილისსა შინა. მაშინ ღამით გაიპარა თვის მხლე თავად აზნაურითა და შევიდა ახალციხეს; იშოვა რამოდენიმე ლეკთა ჯარი და შთამოვიდა იმერეთს. და მივიდა მისა ყოველი იმერეთი თვინიერ გენათლისა, ზურაბ წერეთლისა და ოტია და სეხნია წულუკიძისა. და ესენი ერთგულებდა რუსთა. მაშინ იმერეთისა მმართველმან ფედორ ფილიპოვიჩმან სიმონოვმან მოიწვია თვისის სპითა დადიანი და წავედით და განვედით იმერეთად და შამოვეერთდა ჩვენ რუსთა მხედრობა. და რომელი არა მოვიდოდა ერთგულებასა ზედა ხელმწიფე იმპერატორისასა ვსწვავდით და ვაოხრებდით, გარნა მრავალნი მოვიდენ დამორჩილებად. ამათ ჟამთა შინა მოიხსენა ხელმწიფე იმპერატორმა აღთქმული თვისი შარვაშიძის საფარ ბეგისადმი, წარმოავლინა ზღვით მხედრობა, და მოადგენ სოხუმის ციხესა და თვრამეტსა საათსა შინა აღიღეს იგი და ივლტოდა მამის მკვლელი ასლან ბეგ და რომელიცა გარდარჩენ მხლენი მისნი; ხოლო ციხე და ქალაქი ყოვლის დიდებითა სავსე, დარჩა რუსთა, დასდგენ მას შინა და ასლან ბეგ სირცხვილეული წარვიდა ჯიქეთს. ხოლო რა განგრძელდა ლაშქრობა ჩვენი და ვერა განვდევნეთ მეფე იმერეთით, და დაიარებოდა აქათ იქით, მაშინ საქართველოს უპირატეს მართებელმა წარმოავლინა შემწედ ჩვენდა რამოდენიმე მხედრობა და მხედართ მძღვანად თავადი დიმიტრი ორბელიანი. და რა სცნა ესე მეფემან, შეუგრა საფრითა გზაი ჭიშურის და დააყენა მას ზედა სპანი იმერელთანი საკმაო და თავადი სიმონ აგიაშვილი. დახვდენ იმერნი და ქმნეს ბრძოლა. გარნა ვერ დაუდგენ იმერნი ივლტოდენ, და მოვიდა კნიაზი ორბელიანიქუთაის თვისის რწმუნებულის მხედრობათა მცნობი ამისი მეფე ულონო იქმნა. სცნა რა ვერღა ძალ-უცს ბრძოლა ჩვენი, წარვიდა კვალად ახალ-ციხეს და მეუღლე მისი მარიამ დედოფალი, წარმოგზავნა დადიანისა ლეონისათანა, ვინადგან იყო მამის და მისი. გარნა მოითხოვეს იგი რუსთა, რათა წარგზავნონ რუსეთად. თუმცა ამისთვის დიდათ წუხდა მთავარი დადიანი ლეონ და დედა მისი საქართველოს მეფის ასული დედოფალი ნინო, გარნა ვერ წინა აღუდგა ბრძანებასა იმპერატორისასა და მწყალობელის თვისის ხელმწიფისასა და წარიყვანეს რუსეთად დედოფალი იმერეთისა მარიამ.

(შემდეგი იქნება)

---

## განცხადება

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ IV ტირაჟში, რომელიც იყო 4-ს მაისს ამ 1877 წ, ამოვიდა შემდეგი ნომრები გირავნობის ფურცლებისა.

I სერია

18 წლისა და 7 თვისანი

ათის თუმნის დირებულებისა №№ 84, 79, 69, 30, 102, 115, 29 და 74.

II სერია

$27\frac{1}{2}$ წლისანი.

ასის თუმნისა № 196.

ორმოცდა ათის თუმნისა № 3 და 56.

ათის თუმნისა №№ 83, 16, 136 და 64.

$54\frac{1}{2}$ წლისანი

ათის თუმნისა №№ 42 და 18.

III სერია

$27\frac{1}{2}$ წლისანი.

ასის თუმნისა № 102.

ორმოცდა ათის თუმნისა № 7.

ათის თუმნისა №№ 152 და 173.

$54\frac{1}{2}$ წლისანი.

ათის თუმნისა №№ 49 და 55.

IV სერია

$27\frac{1}{2}$ წლისანი

ორმოცდა ათის თუმნისა № 75.

ათის თუმნისა № 17.

V სერია

$27\frac{1}{2}$ წლისანი

ათის თუმნისა №№ 5, 34 და 21.

$54\frac{1}{2}$ წლისანი.

ათის თუმნისა №№ 112 და 95.

თუმცა წესდებულების ძალით ამ გირავნობის ფურცლებში ნაღდი ფული უნდა მიეცეს ამ წლის 1-ს ივლისსა, მაგრამ შეძლება კასსისა ნებას აძლევს გამგეობას დღეიდამვე ამ გირავნობის ფურცელში ფული დაურიგოს, ხოლო შვიდს წლის-სარგებელს უკან გამოვა იმ დღეთა რიცხვის მიხედვით, რაოდენიც 1-ს ივლისამდე დარჩება.

---

# ა ნ გ ა რ ი შ ი

## თიონეთის გამსესხებელის და შემნახველის ამხანაგობისა

## 1876 წლისა.

### 1-ს იანვარს 1876 წლისა იყო:

| | მანეთი | კაპ. | | მანეთი. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული 354 წევრისა | 3542 | 60 | გასესხებული | 7810 | „ |
| სასარგებლოდ შემოტანილი ფული | 380 | „ | დაშთენილი: | | |
| ნასესხი შემდეგ აღებული | 5231 | „ | ა) ნაღდ ფულად | 809 | 67 |
| სათადარიგო თანხა | 54 | 44 | ბ) ტფილისის სავაჭრო ბანკში | 700 | „ |
| წმინდა მოგება | 322 | 13 | გ) ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში | 210 | 50 |
| ს უ ლ . . | 9530 | 17 | ს უ ლ . . | 9530 | 17 |

### 1876 წელში

| შ ე მ ო ვ ი დ ა | მანეთი. | კაპ. | გ ა ვ ი დ ა | მანეთი. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული | 844 | 15 | წილის ფული | 497 | 66 |
| სარგებელი დაჭერილი სესხობის ანუ ახალის ვადის მიცემის დროს | 832 | 92 | მოგება წილზედ 1875 წლისა | 141 | 26 |
| დაბრუნებული ნასესხები | 12800 | „ | გასესხებული | 12387 | „ |
| ჯარიმა | 109 | 79 | სარგებელი ვადაზედ წინ გადახდილის ნასესხისა | 11 | 76 |
| სასარგებლოდ შემოტანილი ფული | 3230 | „ | სასარგებლოდ შემოტანილი ფული | 430 | „ |
| ნასესხი შემდეგ აღებული | 4280 | „ | სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილის ფულისა | 40 | 88 |
| სათადარიგო თანხა | 67 | 43 | ნასესხი შემდეგ აღებული | 7231 | „ |
| | | | სარგებელი ნასესხის ფულისა | 258 | 2 |
| | | | სამმართველოს ხარჯი | 124 | 26 |
| | | | სხვა და სხვა გასავალი | 2 | „ |
| | | | აღებ-მიცემისა | 180 | 87 |
| ს უ ლ . . | 22164 | 29 | ს უ ლ . . | 21304 | 71 |

### 1-ს იანვარისათვის 1877 წლისა არის:

| | მანეთი. | კაპ. | | მანეთი. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული | 3889 | 9 | გასესხებული | 7397 | „ |
| სასარგებლოდ შემოტანილი ფული | 3180 | „ | დაშთენილი: | | |
| ნასესხი შემდეგ აღებული | 2280 | „ | ა) ნაღდ ფულად | 2255 | 25 |
| სათადარიგო თანხა | 121 | 87 | ბ) ტფილისის სავაჭრო ბანკში | 103 | 50 |
| წმინდა მოგება | 505 | 79 | გ) ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში | 221 | „ |
| ს უ ლ . . | 9976 | 75 | ს უ ლ . . | 9976 | 75 |

მმართველნი:
მ. შიუკოვი.
გ. გოჯიევი.
ს. ფიცხელაური.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Мая 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.